ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 30 ივნისი, 2016 №153 (7079) ფასი: 50 თეთრი

## სოსო მანჯავიძე: „გასაკვირი არაა, რომ იგორ გიორგაძე საარჩევნოდ ჩამოვიდეს“



გვ.4

30 ივნისიდან

ვიქტორ ჰიუგო

კაცი, რომელიც იცინის

ნაწილი მეორე




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

# „ისლამურმა სახელმწიფომ თურქეთი გააფრთხილა“



გვ.3

## სოსო ზაალიშვილი: „ტერაქტები საქართველოსაც ემუქრება“



„ტერაქტებისგან საქართველო კი არა, ნატოს წევრი ქვეყნები არ არიან დაცულები. ჩვენ მარტო თურქეთის მეზობლები არა ვართ, ჩვენ წარმოვადგენთ იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეებსაც ისლამურ სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობები უკავიათ. თარხან ბათირაშვილი და ახმეტ ჩატაევი მყავს მხედველობაში“

## ირაკლი სესიაშვილი: „თინა ხიდაშელი პრობლემის მოცილებით არის დაკავებული და არა — მოგვარებით“



„აგვისტოს ომში წვევამდელები ერთ-ერთი საუკეთესოები იყვნენ“

გვ.2



„ლიტვამ სავალდებულო სამსახური ჯერ გააუქმა, შემდეგ კი აღადგინა“

## სულხან მოლაშვილი პარიზში გარდაიცვალა

გვ.5





## „ვანო მერაბიშვილი დღეს ციხეში ბედნიერად ცხოვრობს“

მამუკა ტუსკაძე: „მერაბიშვილის, სააკაშვილისა და ბოკერიას ქონება ივანიშვილის ქონებას არაფრით ჩამოუვარდება“

გვ.6

გვ.4



## რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალებს რუსეთთან ფარული და ღრმა კავშირი აქვთ“

„არჩევნების შემდეგ ისინი ქუჩის აქციებისთვის ემზადებიან“

ISSN 1987-9385

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

გვ.2

# ირაკლი სესიაშვილი: „თინა ხიდაშელი პრობლემის მოცილებით არის დაკავებული და არა — მოგვარებით“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თინა ხიდაშელის ბრძანებაზე საუბრობს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმების შესახებ

***— ბატონო ირაკლი, თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილება თქვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მინისტრი ამბობს, რომ სესიაშვილი გულწრფელად არის გაბრაზებული, რადგან თქვენ ფილოსოფიური პრობლემა გაქვთ და სხვადასხვა მხარეს დგახართ. თქვენი შეხედულება როგორია აღნიშნულ საკითხზე?***

— ქალბატონი მინისტრის გამოსვლები ჩემთვის გაუგებარი იყო. მე პირადად ვითხოვდი, რომ საკითხი უნდა იყოს განხილული, რადგან არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე ცალმხრივი მიდგომები არ უნდა იყოს. არ არის საკმარისი — მე გადავწყვიტე და მორჩა. ქალბატონ მინისტრს ჩემს ფილოსოფიაში შეეპარა ეჭვი, მაგრამ ფილოსოფიაც გვერდზე გადამიდია და სხვა რამეც, ჩვენ სახელმწიფო ინტერესებს უნდა მივხედოთ.

მინისტრი პრობლემის მოცილებით არის დაკავებული და არა – მოგვარებით. გაწვევა არის კომპლექსური საკითხი, რომელიც ეხება არა მხოლოდ ერთ უწყებას, არამედ ეს არის საერთო თავდაცვითი უსაფრთხოების სისტემის ნაწილი. ამიტომ ვთვლი, რომ პრობლემა კი არ უნდა მოვიცილოთ, არამედ მოვაგვაროთ. პრობლემა რომ მოვაგვაროთ, ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ, შიგნით რა პრობლემებია.

***— მინისტრი აცხადებს, რომ პრობლემაა, ახალგაზრდა ადამიანს ყარაულში 7 ლარი რომ აქვს.***

— პირველ რიგში, მონური სამსახური კანონით დასჯადია. ასეთი რამ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს. რაც შეეხება კონკრეტულად 7 ლარიან სამსახურს, ეს პრობლემაა, რადგანაც სხვა უწყებებში, სადაც წვევამდელები მსახურობენ, 70 ლარამდე აქვთ ხელფასი. სწორედ ამაზეა საუბარი.

ხელფასების გაზრდა სწორედ მინისტრის კომპეტენციაა. თუ ჯარში მონური შრომაა, რაც აკრძალულია, მაშინ ამაზე პასუხი თავად უნდა აგოს. ასევე მისი პრობლემაა, თუ წვევამდელი არ გადის იგივე მომზადებას, რასაც საკონტრაქტო ჯარი. თუ გვინდა, რომ ძლიერი თავდაცვითი სისტემა გვქონდეს, სადაც მოქალაქეები მაქსიმალურად იქნებიან ჩართული, რადგან ქვეყნის თავდაცვა შეუძლებელია მხოლოდ შეიარაღებულმა ძალებმა უზრუნველყოს, ქვეყანა ყველამ ერთად უნდა დავიცვათ.

ამიტომ წვევამდელს თუ რამე პრობლემა აქვს და ადეკვატურად არ არის სამხედრო საქმეში ჩართული, ეს არის პრობლემა.

***— გაწვევის სისტემა უნდა არსებობდეს? ჩვენ ხომ ნატოს სტანდარტებზე გადავდივართ?***



— გაწვევის სისტემა, ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, ჯერ კიდევ საჭიროა. პროფესიული არმია ხარისხით უკეთესია და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. თუმცა, ამ ეტაპზე ვინაიდან აუცილებელია ეტაპობრივი სვლა, რომ ყველა უწყება ერთდროულად ახალ სისტემაზე გადავიდეს, საჭიროა კონკრეტული, მიზანმიმართული გეგმა და მის მიხედვით მოქმედება.

ნატოს წევრმა ლიტვამ ორი წლის წინ სამხედრო სავალდებულო სამსახური გააუქმა. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, რომელიც გაუქმების ინიციატორი იყო, პირადად მე მითხრა, შეცდომა დავუშვით და ეს შეცდომა თქვენ არ გაიმეოროთო. ლიტვამ სავალდებულო სამსახური აღადგინა.

ნატოს ბევრ ქვეყანაში არის სამხედრო სავალდებულო სამსახური. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში არის პროფესიული საკონტრაქტო სამსახური მთლიანად.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხერხემალი არის სამხედრო სარეზერვო სამსახური, მისთვის ყველაზე კარგი ადამიანური რესურსი სწორედ წვევამდელია. ყველაზე კარგი კავშირი ჯარსა და საზოგადოებას შორის სწორედ გაწვევის სისტემაა. პრობლემები, რომლებიც არსებობს, არავის მოსწონს, მაგრამ ჩვენ ეს პრობლემები უნდა მოვაგვაროთ და არა მოვიცილოთ.

***— თქვენ კონცეფციაზე მუშაობთ. რა ეტაპზეა ეს კონცეფცია და გაწვევის სისტემის რეფორმირება რა კუთხით არის თქვენ მიერ წარმოდგენილი?***

— წელიწადზე მეტია, რაც ამ პროექტზე ვმუშაობ, რომელიც გაწვევის სისტემის რეალურ რეფორმას მოახდენს. ამიტომაც ვაქტიურობ, რადგან ვთვლი, რომ პროექტი, რომელიც მოვამზადე, ყველა ამ პრობლემას მოხსნის.

***— დისკუსია გქონდათ მინისტრთან?***

— მინისტრს ეს კონცეფცია წარვუდგინე



## „აგვისტოს ომში წვევამდელები ერთ-ერთი საუკეთესოები იყვნენ“

და დაახლოებით ორი საათი ვისაუბრე. სამხედროებს ძალიან მოეწონათ, გვარდიის დეპარტამენტს ძალიან მოეწონა. მათგან მივიღე პირობა, რომ ამ პოზიციაზე მუშაობას გააგრძელებდნენ.

***— რას ითვალისწინებს თქვენი კონცეფცია?***

— ერთი წელი მსახურობს წვევამდელი თავდაცვის სამინისტროში, სასჯელაღსრულების სამინისტროში, სხვა უწყებაში და შემდეგ, როგორც სამხედრო რეზერვი, ზუსტად იმ მომზადებას გადის, რასაც პროფესიული ჯარი გადის.

***— მინისტრს არ მოეწონა ეს კონცეფცია?***

— გვარდიამ გამოხატა სურვილი, რომ ამაზე იფიქრებდა, შემდეგ კი ამ სიურპრიზის წინაშე აღმოვჩნდით.

***— პრეზიდენტმა თქვა, რომ არ იცოდა, არც უშიშროების საბჭოზე გასულა ეს საკითხი. თქვენ არ გქონდათ ინფორმაცია?***

— მხოლოდ მინისტრთან განცხადებების დონეზე, მაგრამ მე იქვე ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციას და ვამბობდი, რომ ამაზე უნდა ვიმსჯელოთ.

***— მინისტრი ნატოს წინაშე აღებულ ვალდებულებებზე საუბრობს, როდესაც საკონტრაქტო სისტემაზეა საუბარი.***

— ეს არ არის ის დოკუმენტი, რომელიც დოგმაა. ეს მუდმივად განახლებადი დოკუმენტია. ეს არ არის ნატოს მოთხოვნა. ნატო არ მიგვითითებს, როგორი სამსახური გვექნება. ამდენად, მოთხოვნაზე აქ არ არის საუბარი. ეს ჩვენი

## „ლიტვამ სავალდებულო სამსახური ჯერ გააუქმა, შემდეგ კი აღადგინა“

წარდგენაა. ეს ცოცხალი დოკუმენტია და ის მუდმივად იცვლება. ჩვენ შეგვიძლია პოზიციების ცვლილება იმის მიხედვით, თუ რა რეალობის წინაშე ვიქნებით. მაგალითად, უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ შეცვალა თავისი პოზიცია ლიტვამ.

***— რა მნიშვნელობა აქვს გაწვევის ინსტიტუტის არსებობას? ეს შეიძლება ბმაში იყოს, მაგალითად, ქვეყნის ტერიტორიების 20% რომ არის ოკუპირებული?***

— ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ძირითადი ხერხემალი რეზერვია. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ მტერი რომ დაგვესხას, ჯარი თავის ფუნქციას შეასრულებს, მაგრამ ჩვენ ყველას ერთად მოგვიწევს ამ ქვეყნის დაცვა. ყველას, ყოფილ ჯარისკაცს, რეზერვისტს თუ გულანთებულ ადამიანს. მოქმედი თუ ყოფილი წვევამდელი, ვინც სავალდებულო სამხედრო სამსახური გაიარა, გაცილებით უკეთ არის მომზადებული, ვიდრე სახლში მყოფი რეზერვისტი.

ომის დროს მოგვიწევს სამშობლოს დაცვა, ამ დროს კი სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ვალდებულება, რომ წვევამდელი, სამშობლოს პატრიოტი მოქალაქე მოამზადოს, რომ ომის შემთხვევაში მან ელემენტარული იცოდეს.

***— დღეს როგორია თქვენი პოზიცია? შეიძლება მინისტრის ბრძანება გაუქმდეს?***

— ჩემი პოზიციაა, რომ დისკუსია უნდა გაგრძელდეს. მათ შორის ექსპერტებთან, საზოგადოებასთან ერთად, ფართო ჩართულობით. ხელისუფლების ყველა შტოში მოხდეს განხილვა და პოზიციების შეჯერება. შემდეგ კი, რაც უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის, ის გადაწყვეტილება მივიღოთ.

***— თქვენ განაცხადეთ, რომ მინისტრის ამ გადაწყვეტილებაში პოლიტიკური ინტერესები იკითხება.***

— არგუმენტებიც მაქვს, რატომაც ვფიქრობ ასე: საგაზაფხულო გაწვევა დასრულებულია. ახალი გაწვევა კი შემოდგომაზე იწყება. მინისტრი დღეს აანონსებს, რომ განაცხადს არ გააკეთებს თავდაცვის სამინისტრო, მინისტრს თავისი ბრძანებით გაწვევის სისტემა კი არ გაუუქმებია, მხოლოდ განაცხადზე თქვა უარი. უარი შეეძლო აგვისტოში ეთქვა. იქვე დაამატა, შემდეგმა მინისტრმა გააუქმოს, თუ მაგარი იქნებაო. ესეც მიანიშნებს, რომ თინა ხიდაშელმა პოლიტიკური სვლა გააკეთა იმ წვევამდელებისთვის, ვისაც ჯარში წასვლა არ უნდა, მაგრამ არიან ადამიანები, ვისაც უნდათ ჯარში წასვლა და სამშობლოს სამსახურში ყოფნა. აგვისტოს ომში წვევამდელებმაც იბრძოლეს და ერთ-ერთი საუკეთესოები იყვნენ.

***— სერიოზულ ქულებს მოუტანს ხიდაშელს ეს ნაბიჯი არჩევნებზე?***

— დიახ, მოუტანს და ამიტომაც გამიჩნდა ეს ვარაუდი.

# თეა წულუკიანი: „ერთი და ორი სახელმწიფო ამ უბედურებასთან ეფექტურ ბრძოლას ვერ შეძლებს“



იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა თურქეთში მომხდარი ტერორისტული აქტების გამო მწუხარება გამოთქვა და აღნიშნა, რომ ტერორიზმთან საბრძოლველად საერთაშორისო საზოგადოების გაერთიანებაა საჭირო.

თეა წულუკიანი:

— ყოველი ახალი ტერორისტული აქტი გვარწმუნებს იმაში, რომ ერთი და ორი სახელმწიფო ამ ძალიან დიდ თანამედროვე უბედურებასთან ეფექტურ ბრძოლას ვერ შეძლებს. ამიტომ, მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობა, ძალოვანი სტრუქტურები უნდა აღიჭურვონ კარგი კანონებით, შესაბამისი ინსტრუმენტებით და მექანიზმებით, რომ ერთხელ და სამუდამოდ ეს უბედურება ერთად დავამარცხოთ.

**მედიანიუსი**

# ბერლინში საქართველოს საელჩოს მანქანა დაწვეს

ბერლინში რამდენიმე დიპლომატიური წარმომადგენლობის ავტომანქანა, მათ შორის საქართველოს საელჩოს ავტომობილი დაწვეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, მომხდარზე გამოძიება დაწყებულია.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, დავით ჯალაღანიამ განაცხადა, ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

— სამწუხაროდ, გუშინ ბერლინში, გერმანიის დედაქალაქში, რამდენიმე დიპლომატიური ნომრის მქონე ავტომანქანის დაწვა მოხდა. მათ შორის აღმოჩნდა საქართველოს საელჩოს კუთვნილი ავტომანქანაც. რა თქმა უნდა, გამოსაძიებელია მიზეზები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო ხანებში სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის, — განაცხადა ჯალაღანიამ.

**ნიუსპრესი**

# სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალური რესურსების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი შოთა ტ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ შოთა ტ-მ ერთ-ერთი შპს-ს დირექტორს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მიღებისათვის გეოლოგიური პაკეტის დაჩქარებულ ვადაში დამზადებისა და ლიცენზიის აუქციონზე გატანის სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 20.000 აშშ დოლარი.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ისლამურმა სახელმწიფომ თურქეთი გააფრთხილა“

შორენა მარსაგიშვილი

## სოსო ზაალიშვილი: „ტერაქტები საქართველოსაც ემუქრება“

არის თუ არა თბილისი დაცული ტერაქტებისგან, გამოიყენებენ თუ არა ჯიჰადისტები საქართველოს ტერიტორიას რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, რა გაფრთხილება მიიღო თურქეთმა ისლამური სახელმწიფოსგან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი ახლო აღმოსავლეთის საკითხებში სოსო ზაალიშვილი ესაუბრება.

**სოსო ზაალიშვილი:**

– ბოლო პერიოდში თურქეთში ბევრი ტერორისტული აქტი განხორციელდა, მაგრამ 28 ივნისის ტერაქტი ყველასგან გამორჩეული იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტერაქტი ათათურქის სახელობის ა კლასის საერთაშორისო აეროპორტში განხორციელდა. პრეზიდენტის და მთავრობის სასახლეების შემდეგ, ეს აეროპორტი თურქეთში ყველაზე დაცულ ადგილად ითვლება. აქ რომ ტერაქტი მოხდება, ეს ნიშნავს იმას, რომ ძალიან სერიოზულად არის საქმე.

***– თურქეთის ხელისუფლება მომხდარში ისლამურ სახელმწიფოს ადანაშაულებს. ისლამურ სახელმწიფოს და თურქეთის ხელისუფლებას კი, როგორც ამბობენ, კარგი ურთიერთობები ჰქონდათ. რატომ უნდა მოეწყოთ ისლამისტებს აფეთქება?***

– თურქეთი ყოველთვის ეხმარებოდა მუსლიმ მებრძოლებს. გავიხსენოთ 1994-1996 წლების ჩეჩნეთ-რუსეთის ომი. მაშინ თურქები ჩეჩნებს ჯიჰადში ღიად ეხმარებოდნენ. კავკასიელ მებრძოლებს თურქეთი შამილის დროსაც აქტიურად ეხმარებოდა. თურქეთი მაშინ ჩრდილოკავკასიური ჯიჰადისტური მოძრაობის ცენტრი იყო.

სირიაში მიმდინარე პროცესებში თურქეთი იყო ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე. სირიაში ისლამური სახელმწიფოს მოწინააღმდეგეებს თურქეთის შეიარაღებული ძალები ებრძოდნენ. საუბარია ქურთებზე. იეზიდებზე და ბაშარ ალ ასადის სამთავრობო ჯარზე.

ქურთული ქალაქი ქობანი, რომელიც თურქეთ-სირიის საზღვარზე მდებარეობს, რამდენჯერმე აიღო ისლამურმა სახელმწიფომ და იქ საშინელებები დაატრიალა. იქ ქურთებს გენოციდი მოუწყვეს. მოგვიანებით ეს ქალაქი ქურთებმა მოკავშირეებთან ერთად გაათავისუფლეს. ამ ოპერაციის დროს დააკავეს თურქეთის შეიარაღებული ძალების ნაწილები, რომლებიც ისლამური სახელმწიფოს მხარეს იბრძოდნენ.

თურქეთი არის ნატოს წევრი ქვეყანა. ამ ალიანსში შემავალი ქვეყნები კი ისლამურ სახელმწიფოს ებრძვიან. ამ დროს მოჯაჰედების უდიდესი ნაწილი სირიასა და ერაყში სწორედ თურქეთის გავლით მოხვდა.

***– რა რაოდენობის მოჯაჰედებზეა საუბარი?***

– სხვადასხვა მონაცემებია. მათი რაოდენობა 70.000-დან 120.000-მდე მერყეობს. მათი დიდი ნაწილი იქ თურქეთის გავლით შევიდა. თურქეთი ისლამური სახელმწიფოს ფორპოსტს წარმოადგენს. გასული წლის შემოდგომაზე მათ ჩამოაგდეს რუსული სამხედრო თვითმფრინავი, რომელსაც ისლამური სახელმწიფოს პოზიციები უნდა დაებომბა. ამის შემდეგ ანკარასა და მოსკოვს შორის ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა. რუსეთის ხელისუფლებამ ბოლო 3 თვის მანძილზე რამდენჯერმე წარმოადგინა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ისლამურ სახელმწიფოსთან ერდოღანის ოჯახის წევრი თანამშრომლობს – ერდოღანის შვილი ისლამური სახელმწიფოსგან ნედლ ნავთობს ძალიან დაბალ ფასებში ყიდულობს და შემდეგ ევროპაში გააქვს.

ამ ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, ისლამურ სახელმწიფოს ტერაქტი არ უნდა მოეწყო, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რაც ბოლო დღეების მანძილზე მოხდა.

ოფიციალურ ანკარას რუსეთთან და ისრაელთან ბოლო მომენტამდე დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა. ერთიც და მეორეც ახლო აღმოსავლეთში ყველაზე დაუნდობლად ებრძვის ტერორიზმს. ტერაქტის წინა დღეებში თურქეთმა ორივე ქვეყნის მიმართ რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება. 28 ივნისს ისრაელთან ურთიერთობის დალაგებაზე შეთანხმებას მოეწერა ხელი. ერთი დღით ადრე კი ერდოღანმა მოსკოვს რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების გამო მოუბოდიშა.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ამის გამო გადაუხადა ისლამურმა სახელმწიფომ თურქეთს სამაგიერო?***

– ესეც არის, მაგრამ მგონია, რომ ეს ტერაქტი უშუალოდ თურქეთის წინააღმდეგ არ იყო მიმართული. უშუალოდ თურქეთის წინააღმდეგ რომ სდომებოდათ ტერაქტის მოწყობა, ამ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე მიიტანდნენ იერიშს. ისლამურმა სახელმწიფომ შეგნებულად აირჩია ათათურქის საერთაშორისო აეროპორტი, სადაც მთელი მსოფლიოდან ჩამოდის ხალხი. მათ სამიზნეს უცხოელი ტურისტები წარმოადგენდნენ. საუბარია იმ ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებსაც ანტიტერორისტული კოალიცია აქვთ შექმნილი. ამ ტერაქტით ჯიჰადისტებმა კოალიცია გააფრთხილეს.

***– და რაღა მაინცდამაინც თურქეთში მოინდომეს მათი გაფრთხილება?***

– ამ ტერაქტით ისლამურმა სახელმწიფომ ორი კურდღელი დაიჭირა. ტერაქტი მოუწყო ანტიტერორისტულ კოალიციაში შემავალი ქვეყნების მოქალაქეებს და ამასთან გააფრთხილა თურქეთი, რომელმაც ისლამური სახელმწიფოს მტრებთან ურთიერთობების დალაგება დაიწყო. 28 ივნისს სტამბულში დიდი საშინელება მოხდა, მაგრამ ეს არ იქნება ბოლო ტერაქტი. ერდოღანი რუსეთთან და ისრაელთან დიალოგს თუ გააგრძელებს, თავდასხმები გაგრძელდება.

***– თურქეთი არის ნატოს წევრი ქვეყანა და ასე მარტივია აქ ტერაქტების მოწყობა?***

– თურქეთი ნატოს უბრალო წევრი არ გახლავთ. აქ რამდენიმე ევროპული ქვეყნის დაზვერვა მუშაობს. ეს არის ქვეყანა, რომელიც ფრონტის ხაზზე მდებარეობს. თურქეთი ესაზღვრება სირიას, სადაც მთელი მსოფლიო ისლამურ სახელმწიფოს ებრძვის.

***– ებრძვიან, მაგრამ ვერაფერს აკლებენ.***

– იმიტომ ვერ აკლებენ ვერაფერს, რომ ბრძოლის სწორი ფორმა არ აქვთ შერჩეული. სირიის ტერიტორიაზე რამდენიმე ფრონტია გახსნილი. ერთ ნაწილში ისლამურ სახელმწიფოს რუსეთი და ბაშარ ალ ასადის არმია ებრძვის. მეორე ნაწილში იბრძვიან ქურთები, მესამე ნაწილში იბრძვის კოალიცია. რაღაც ნაწილში ირანია ჩართული ომში, გოლანის სიმაღლეს კი ისრაელი ბომბავს. სამხედრო თვალსაზრისით ისლამურ სახელმწიფოს პლუსი აქვს.

როცა რუსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან მებრძოლები ამერიკელების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადადიან, კოალიციას მათი გარჩევა უჭირს.

***– ასეთი ძნელია მათი გარჩევა?***

– ძალიან ძნელია. სირიაში უამრავი დაჯგუფება იბრძვის. მათ შორის არის ბაშარ ალ ასადის ოპოზიცია, რომელსაც რუსეთი ებრძვის და ამერიკა ეხმარება. კოალიციის წევრები ხანდახან ფიქრობენ, რომ ესენი ოპოზიცია ხომ არ არის. სანამ კოალიცია რამეს გაარკვევს, ისინი იარაღს ყრიან და უბრალო მოქალაქეებივით შედიან ქალაქში. იქ მათ იარაღის სამალავები აქვთ. შედიან იქ, იღებენ იარაღს და ეგრევე ჯარად გადაიქცევიან. ამ ტაქტიკას თავის დროზე ჩეჩნები იყენებდნენ რუსეთთან ომში.

ჯიჰადისტებს რამდენიმე მეთაური მოუკლეს. ეს მათ არაფერში უშლის ხელს. დღევანდელ მსოფლიოში ასეთი მეთაურების პოვნა პრობლემა არ არის. ისლამურ სამყაროში, შესაძლოა, ნებისმიერს გადაუტრიალდეს ტვინი და ჯიჰადში მონაწილეობა მოინდომოს. ამ მხრივ ევროპელების იმედიც უნდა ჰქონდეთ. ცოტა ხნის წინ, რამდენიმე ფრანგმა და ბრიტანელმა გადაწყვიტა ჯიჰადში მონაწილეობის მიღება. მათ ისლამი მიიღეს.

***– თურქეთი არის ჩვენი მეზობელი ქვეყანა. ამის გარდა, ჩვენ შევდივართ იმ საერთაშორისო კოალიციაში, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ იბრძვის. თქვენი აზრით, დაცულია თუ არა დღეს საქართველო ტერაქტებისგან?***

– ტერაქტებისგან საქართველო კი არა, ნატოს წევრი ქვეყნები არ არიან დაცულები. ჩვენ მარტო თურქეთის მეზობლები არა ვართ, ჩვენ წარმოვადგენთ იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეებსაც ისლამურ სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობები უკავიათ. თარხან ბათირაშვილი და ახმეტ ჩატაევი მყავს მხედველობაში.

***– როგორც ამბობენ, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ საქართველოში ტერორისტული აქტები არ მოუწყვია ისლამურ სახელმწიფოს.***

– ისინი არიან ამირები და მათ დიდი გავლენა აქვთ. საქართველოს ხელისუფლებასაც ასეთივე პოზიცია აქვს, როგორც თურქეთს ჰქონდა – ხელს არ გიშლით და თქვენც ნუ შეგვეხებით. ეს უსაფრთხოდ ყოფნისთვის საკმარისი არ არის. არავინ იცის, ჯიჰადისტებს რა და როდის გადაუტრიალდებათ თავში. მაგათ თურქეთი რომ ეხმარებოდა, ისე არავინ დახმარებია, მაგრამ ხომ ნახეთ, რა მოხდა სტამბოლში. ასე რომ, საქართველო არანაირად არ არის დაცული.

საქართველო ტერორისტების დერეფნად რომ აქცია წინა ხელისუფლებამ, ამაზე არავინ



აღარ დავობს. დააწესეს უვიზო მიმოსვლა და არავინ უწყის, ვინ შედის ან ვინ გადის ამ ქვეყანაში. ჩვენი ქვეყნიდან ბევრია წასული ისლამური სახელმწიფოს მხარეს საბრძოლველად. ხვალ ისინი შესაძლოა უკან დაბრუნდნენ.

***– რისთვის უნდა დაბრუნდნენ უკან?***

– თუნდაც რუსეთზე შურის საძიებლად. რუსეთი მათ წინააღმდეგ ყველაზე მონდომებით იბრძვის. საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს საკურორტო სეზონზე. ხელისუფლება სიამაყით ამბობს, რომ 3 მილიონ რუს ტურისტს ელოდება. ეს ჩვენთვის ძალიან სახიფათოა.

***– რატომ არის სახიფათო 3 მილიონი რუსი ტურისტი?***

– თავად რუსი ტურისტები არ წარმოადგენენ საფრთხეს. სამაგიეროდ, მათი წყალობით შესაძლოა საქართველო ტერორისტების სამიზნე გახდეს. ისლამურმა სახელმწიფომ გამოსცა ბრძანება, ყველგან მოაწყონ ტერაქტები, სადაც ანტიტერორისტულ კოალიციაში შემავალი ქვეყნების ტურისტები ჩავლენ. თავის დროზე ჰიტლერმა თავის ხალხს უთხრა, თქვენ დახოცეთ და ღმერთთან ამაზე პასუხს მე ვაგებო. ჯიჰადისტებს კი ეუბნებიან, დახოცეთ და სამოთხეში მოხვდებითო.

ისლამურმა სახელმწიფომ ბოლო დროს ტერაქტები ყველაზე დაცულ ქვეყნებში განახორციელა. საფრანგეთთან, ბელგიასთან და თურქეთთან შედარებით ჩვენი უსაფრთხოება ბევრად ნაკლებად არის დაცული. იმედი მაქვს, ჩვენი დაზვერვა და სპეცსამსახურები სათანადო დასკვნებს გამოიტანენ. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ხომ წინასწარი პრევენციაა, თორემ იმ კაცმა თუ ხელში იარაღი აიღო, ჩათვალე, რომ ველარაფერს გააწყობ.

მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, საქართველომ სხვა ქვეყნების დაზვერვასთანაც უნდა ითანამშრომლოს, თუმცა ისიც არავინ იცის, რას აკეთებენ დაზვერვის სამსახურები. თურქეთში, როგორც უკვე გითხარით, რამდენიმე ქვეყნის დაზვერვა მუშაობდა, მაგრამ ტერაქტი თავიდან ვერ აიცილეს.

## თურქული მედია ერთ-ერთი სავარაუდო ტერორისტის ფოტოს აქვეყნებს



გამოცემა „Hurriyet“ ერთ-ერთი სავარაუდო ტერორისტის ფოტოს აქვეყნებს, რომელიც სტამბოლის აეროპორტის სათვალთვალო კამერით არის გადაღებული. გამოცემა აღნიშნავს, რომ მისი ამოცნობა ფეხსაცმლის მეშვეობით მოხდა. მას ზამთრის ქურთუკი აცვია.

გამოცემის ინფორმაციითვე, არსებობს კიდევ ერთი თვითმკვლელი ტერორისტის ფოტო, რომელიც კამერამ სროლის დროს დააფიქსირა.

**ინტერპრესნიუსი**

## ათათურქის აეროპორტში მომხდარი ტერაქტების გამო ილია მეორე მსოფლიო პატრიარქს და თურქეთის პრეზიდენტს უსამძიმრებს

ათათურქის აეროპორტში მომხდარი ტერორისტული აქტების გამო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მის ყოვლადუწმიდესობას, ბართლომეოს პირველს, კონსტანტინეპოლის – ახალი რომის მთავარეპისკოპოსს და მსოფლიო პატრიარქს უსამძიმრებს.

– თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, დიდი მწუხარებით შევიტყვეთ ცნობა ათათურქის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში გუშინ მომხდარი ტრაგედიის შესახებ. ყველა შეძრა მომხდარმა, მათ შორის საქართველოს მოსახლეობაც. ტერორისტებს და ტერორიზმს არც ეროვნება და არც სარწმუნოება არ აქვს, იგი უსახოა. სამწუხაროდ, მსოფლიოში ტერაქტები გახშირდა და სათანადო პასუხი ამ გამოწვევებზე გაცემული არ არის. გთხოვთ, ჩვენი სამძიმარი გადასცეთ გარდაცვლილთა და დაზარალებულთა ოჯახებსა და ახლობლებს. აღვავლენთ ლოცვებს მშვიდობისათვის. ქრისტესმიერი სიყვარულით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, – ნათქვამია უწმინდესის სამძიმრის ტექსტში, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს.



ილია მეორე სამძიმრის წერილს უგზავნის თურქეთის პრეზიდენტს, რეჯეფ თაიფ ერდოღანსაც:

– თქვენო აღმატებულებავ, მიიღეთ ჩვენი გულითადი თანაგრძნობა ათათურქის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში მომხდარი ტერაქტის გამო, რომელმაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და სხვა მრავალი დააზიანა. სამწუხაროა, რომ ასეთი საშიშროება ყველას წინაშე დგას და სახელმწიფოებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომ აღიკვეთონ ჩვენი დროის ეს უმძიმესი გამოწვევა. გთხოვთ, ჩვენი სამძიმარი გადასცეთ გარდაცვლილთა და დაზარალებულთა ოჯახებსა და ახლობლებს, – ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმრის ტექსტში.

**ინტერპრესნიუსი**

## თურქეთის საელჩოში სამძიმრის წიგნი გაიხსნება

2016 წლის 28 ივნისს სტამბოლის ათათურქის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში მომხდარ საზარელ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით თურქეთის მთავრობამ გამოაცხადა გლოვის დღე, რის გამოც 30 ივნისს, საქართველოში თურქეთის საელჩოში, გაიხსნება სამძიმრის წიგნი.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალებს რუსეთთან ფარული და ღრმა კავშირი აქვთ“

ნონა ცაბაძე

არჩევნების მოახლოებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება სოციოლოგიური კვლევებიც. თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი ამ კვლევებს უნდობლობას უცხადებს. თუ რა არის აღნიშნული სოციოლოგიური კვლევის მიზანი და არსი, „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი, რამაზ საყვარელიძე პასუხობს.

***– ბატონო რამაზ, ორი დღის წინ გერმანული კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გამოქვეყნდა. როგორია თქვენი შეფასებები, რამდენად არის თქვენი სანდოობა აღნიშნული კვლევების მიმართ?***

– ამ კვლევის მიმართ ძირითადი დამოკიდებულება საკმაოდ კრიტიკულია და მათ შორის ჩემი დამოკიდებულებაც.

***– რამ განაპირობა ეს კრიტიკა?***

– ამ კვლევების შემსრულებელი ორგანიზაცია, ეს ის ორგანიზაციაა, რომელმაც დაახლოებით 20%-იანი შეცდომა დაუშვა 2012 წელს. რაც შეეხება დამკვეთს, ისიც პოლიტიკურად ისეთი ტენდენციურია და ისეთი ორიენტაციისაა, რომ ესეც არ იწვევს დიდ ნდობას.

***– კვლევის შედეგებზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება შედეგებს, პოლიტიკური შინაარსის მხრივ, ემთხვევა ენდიაის და აირაის შედეგებს. ასევე ემთხვევა განცხადებებს ნაციონალური მოძრაობისა, რომ თუკი გაყალბდება არჩევნები, ისინი გამოვლენ ქუჩებში და დაიცავენ ხმებს. თან არც ის დაგვავიწყდეს, რომ, კვლევების თანახმად, „ოცნების“ და ნაციონალების რეიტინგები თითქმის თანაბარია.

***– ეს საით მიანიშნებს?***

– ეს ნიშნავს, რომ კვლევის შედეგები ორიენტირებულია იმაზე, რომ აი, ასეთი გათანაბრებისგან უფრო განსხვავებული შედეგი თუ იქნა, ნაციონალებს მოტივი ექნებათ, რომ დაიძახონ – არჩევნები გაყალბებულია.

***– ამ კვლევებიდან ნაციონალური მოძრაობის ინტერესი იკვეთება?***

– რასაკვირველია. აქ იკვეთება ნაციონალების ინტერესი.

***– მაშინ რითი ხსნით იმ გარემოებას, რომ კვლევების თანახმად, გიორგი მარგველაშვილი რეიტინგით უსწრებს როგორც ბიძინა ივანიშვილს, ასევე მიხეილ სააკაშვილს? იმაზეც საუბრობენ, რომ ბოლო პერიოდში პოლიტიკურად საგრძნობლად გააქტიურდა მარგველაშვილი.***



– პოლიტიკურად პასიური არასოდეს ყოფილა მარგველაშვილი. მარგველაშვილს სწორედ ეგ მიზანი აქვს, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი პოლიტიკურად რაც შეიძლება მნიშვნელოვან ინსტიტუტად აქციოს. ეს სრულიად გასაგები მიზანია. უბრალოდ, პოლიტიკური პროცესები გააქტიურდა და მარგველაშვილმაც რეაქციის მიცემა დაიწყო და ეს მის აქტიურობაზეც აისახება. რაც შეეხება იმას, რომ გამოკვლევაში მან პირველი ადგილი აიღო...

***– ეს რითი არის განპირობებული?***

– ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ამ ფონზე უფრო ქვემოთ ჩავიდა სააკაშვილის რეიტინგი. ამას მარტივად ავხსნი: სააკაშვილი რომ პირველ ადგილას ყოფილიყო, ხომ ყველა დავიძახებდით უფრო ომახიანად, რომ ეს ნაციონალების დაკვეთაა. ამდენად, სააკაშვილი დააშორეს ამ პროცესს, რათა ზედმეტად მყვირალა არ ყოფილიყო ეს დაკვეთა. ამ ფონზე კი წამოწიეს ფიგურა, რომელიც არ არის ასოცირებული რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიასთან.

***– რატომ დაგრჩათ ასეთი შთაბეჭდილება?***

– საპარლამენტო არჩევნების წინ კითხვის დასმა, ვის აირჩევთ პრეზიდენტადო, ამოვარდნილია კონტექსტიდან. როცა არაბუნებრივი კითხვა ისმის, ე.ი. ეს რაღაცისთვის სჭირდება ამ კითხვის დამსმელს.

***– ანუ ეს ხელოვნური პროცესია?***

– მე ვფიქრობ, რომ ხელოვნურია. მით უმეტეს, რომ ჯიეფკა არც ისე კარგი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოში. თან რუსეთის დაკვეთით არის ნამუშევარი ყირიმის მოსახლეობის სოციოლოგიურ კვლევაზე. აქ ისევ ამოტივტივდა რუსეთის ფაქტორი. ნაციონალებს კი რუსეთთან ფარული და ღრმა კავშირები აქვთ და ერთ-ერთი კავშირი ეს სოციოლოგიური ჯგუფიცაა.




**„არჩევნების შემდეგ ისინი ქუჩის აქციებისთვის ემზადებიან“**

***– ყველა კვლევაში, რაც კი აქამდე ჩატარებულა, „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა მიდიან გვერდიგვერდ. ესეც წინასწარ არის გამიზნული?***

– სწორედ ეგ არის ძირითადი მიზანი. სავარაუდოა, რომ მათ რეიტინგის რეალური შედეგი იციან. ბოლო პერიოდში საკმაოდ გააქტიურდა „ქართული ოცნება“. წამოაყენა ლიდერად კვირიკაშვილი, რომელსაც, მედიის დონეზედაც კი, სადაც ყველაფერი ითქმის და ყველაფერი განიხილება, უარყოფითი შეფასება არ აქვს არც ერთი მხრიდან.

„ოცნებაში“ რაღაც სიახლეები ხდება, რაღაცა მოძრაობები არის. ამ დროს ნაციონალების მიმართულებით არაფერი იცვლება. ყველა გამოკვლევაში ადრე იყო 15-18%, ახლა კი უცბად არის 22%. ნაციონალებთან კი, სადაც არაფერი არ იცვლება, იმდენივე პროცენტი აქვთ, რაც „ოცნებას“, სადაც ბევრი რამე შეიცვალა.

არჩევნების შემდეგ ნაციონალები ააფრიალებენ ამ გამოკვლევებს, უცხოელების მიერ ჩატარებულებს და იტყვიან, რომ მათ და „ოცნებას“ თანაბარი რეიტინგი ჰქონდათ, ე.ი. არჩევნები გაყალბდა. არჩევნები გაყალბდას ძახილით გამოვლენ ქუჩაში. ქუჩას ან აიყოლიებენ, ან ვერა, უფრო ვერა. მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობას გაუხვრეტენ ყურებს იმის ძახილით, რომ არჩევნები გაყალბდა. მსოფლიო საზოგადოებას რომ არჩევნების გაყალბებაზე ააბობოქრებენ, ეს მერე გამოადგებათ შიდა პროცესებში.

***– კერძოდ?***

– სამართლებრივი დევნის დროს, თუ ვიღაცა დაიჭირეს, ისევ დაიწყება ლაპარაკი იმაზე, რომ ეს პოლიტიკური დევნაა და მათ დასავლეთში ჰყავთ მომხრეები, სახალხო პარტიის მაგვარი, რომლებიც მათ მხარს აუბამენ. საქართველოს ხელისუფლებას კი ამ ზეწოლის გამო მოუწევს სამართლებრივი დევნის შერბილება. ზუსტად ისე, რაც იყო აქამდე.

***– ფიქრობთ, რომ სულ სხვა იქნება არჩევნების შედეგი და ის ამ კვლევებთან ახლოსაც ვერ მოვა?***

– ამას მე კი არ ვფიქრობ, ნაციონალები ფიქრობენ და იმიტომ აქვეყნებენ დაბეჯითებით ამ თანაბრობის რეიტინგებს. მათ ზუსტად იციან, რომ სულ სხვა შედეგი იქნება და სხვა შედეგი რომ იქნება, სწორედ იმის შემდეგ რეაქციებზე ფიქრობენ.

პოლიტიკური თვალსაზრისით ეს გამართლებულია. მათ ყველა ნაბიჯი წინასწარ აქვთ გათვლილი. მათ სჭირდებათ დაცვა იმისთვის, რომ ციხეში არ მოხვდნენ.

***– დღეს ხელისუფლების შიგნით სერიოზული დაპირისპირებაა. თავდაცვის მინისტრის ქმედებებს უკმაყოფილება მოჰყვა. ეს პროცესები რამდენად დააზარალებს „ოცნებას“?***

– ხიდაშელის განცხადებამ ნაწილობრივ უკვე დააზარალა. დააზარალა არა მარტო „ქართული ოცნება“, არამედ ქართული პოლიტიკის ფსიქოლოგიაც.

***– რა კუთხით დააზარალა?***

– აღმოჩნდა, რომ საქართველოში ისეთი მაღალი კულტურის მქონე პარტიებსაც კი, როგორიც რესპუბლიკური პარტიაა, არ შეუძლიათ იმუშაონ კოალიციურ რეჟიმში. მინისტრი მოქმედებს თავისი პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე და არა – ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

***– ანუ ეს იყო ქულების ჩაწერა წინასაარჩევნოდ რესპუბლიკური პარტიისთვის?***

– კითხვას ვეცდები ვუპასუხო ფაქტით – რომელიმე რესპუბლიკელმა გააკრიტიკა, ან შეაფასა ხიდაშელის ეს ნაბიჯი?! არა. ეს სიჩუმე ხომ ნიშნავს, რომ პარტია თანახმაა და პარტიული ნაბიჯი იყო ეს და არა იმ სამთავრობო გუნდის ნაბიჯი, რომელიც ჩივის, რომ ჩვენთან არავის არაფერი შეუთანხმებიაო. ე.ი. პარტია იყო აქ გადამწყვეტი და როცა მოქმედება მიდის ვიწრო პარტიული ინტერესით, აქ უკვე კოალიციის ჩამოყალიბება შეუძლებელი ხდება. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, პორტფელები რომ დანაწილდება სხვადასხვა პარტიას შორის!

# სოსო მანჯავიძე: „გასაკვირი არაა, რომ იგორ გიორგაძე საარჩევნოდ ჩამოვიდეს“

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარისა და პრემიერ კვირიკაშვილის ვარაუდით, მომავალ პარლამენტში „ქართული ოცნება“ ასზე მეტ ადგილს მოიპოვებს. ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონისა და სხვა გარემოებების გამო, ეს ვარაუდი ბევრს ნაკლებად რეალურად მიაჩნია. თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი სოსო მანჯავიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ მმართველ პარტიას ბევრი უპირატესობა და ბერკეტი აქვს.

მარიამ მჭედლიშვილი

**სოსო მანჯავიძე:**

– რის საფუძველზე გამოთქვამს ასეთ ვარაუდს გიორგი კვირიკაშვილი? ჯერ ერთი, ესაა ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი, ასევე ფინანსები, ადმინისტრაციული რესურსი, სხვა გარემოებები. „ქართული ოცნება“ ის ძალაა, რომელმაც ხალხს ჩამოაცილა სააკაშვილის რეჟიმი. განხორციელდა სხვადასხვა წარმატებული სოციალური პროექტი.

არსებობს დიდი უარყოფითი პლასტიც. ესაა შეუსრულებელი დაპირებები, კოაბიტაცია ნაციონალურ მოძრაობასთან, რომელმაც სახტად დატოვა მთელი ელექტორატი, ასევე ალიანსი არაპოპულარულ პოპულარულ ძალებთან.

***– ანუ, შეცდომების მიუხედავად, „ქართულ ოცნებას“ მაინც აქვს მხარდაჭერა?***

– ეს მხარდაჭერა დაახლოებით 40%-ია. ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი 12-დან 15%-მდეა, ძირითადად რეგიონების ხარჯზე. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის პოზიციები ძლიერია სამეგრელოში. იქ, სავარაუდოდ, არჩევნებზე დიდი ამბები დატრიალდება. კორცხელის მოვლენები ამის დადასტურებაა.

***– სხვების პოზიციები როგორია?***

– ყველაზე ძლიერების რეიტინგი 10%-ზე მაღალი არაა. მნიშვნელობა არ აქვს, ჯგუფდებიან თუ არა ისინი ვინმესთან. უმრავლესობას საარჩევნო ბარიერის გადალახვის პრობლემა უდგას. მაჟორიტარულ არჩევნებში ხელისუფლებას ექნება გადამწყვეტი უპირატესობა. „ქართული ოცნება“ დაახლოებით 65 ან 70 მაჟორიტარს გაიყვანს. თუ ამას მივუმატებთ 40%-იან რეიტინგს პროპორციულ ნაწილში, გამოდის, რომ მმართველი პარტია აიღებს დაახლოებით 100 მანდატს.

***– გიორგი კვირიკაშვილის ეს ვარაუდი გამოითქვა მორიგი სოციოლოგიური კვლევის შედეგების კომენტირებას. ორგანიზაცია ჯიეფკამ კვლევა რუსთავი 2-ის დაკვეთით შეასრულა. ამ შედეგებით, „ქართულ ოცნებას“ ხმას მისცემდა 22,4%, ნაციონალურ მოძრაობას კი – 21,7%.***

– ეს კვლევა, ისევე როგორც სხვები, ძალიან საეჭვოა. „ქართული ოცნების“ რეიტინგი თითქმის უტოლდება ნაცმოძრაობისას. ზოგადად, სოციოლოგიური კვლევები გადაქცეულია პოლიტიკურ ინსტრუმენტებად, საზოგადოებრივი აზრის მოდერაციის საშუალებად.

***– ანუ, საზოგადოებას აჯერებენ, რომ „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა თანაბარი ძალებია?***

– მარტო ამ ორ პარტიაზე არ არის საუბარი. როგორც ჩანს, ამის დამკვეთებს უნდათ ისე წარმოაჩინონ სიტუაცია, რომ მომავალ პარლამენტში უმრავლესობას მოიპოვებენ ლიბერალური ძალები. რესპონდენტთა 7,8%-მა სასურველ ძალად ბურჭულაძის პარტია დაასახელა, 6,2%-მა – ალასანიას პარტია. ამ შედეგების მიხედვით, რესპუბლიკურმა პარტიამ, გირჩმა და ვაშაძემაც მოიპოვეს გარკვეული მხარდაჭერა. დამკვეთის, ანუ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გათვლით, ეს ძალები ნაცმოძრაობასთან ერთად შექმნიან ლიბერალურ უმრავლესობას. იკვეთება სურვილი, რომ 8 ოქტომბრის შემდეგ საქართველოს სათავეში მოიყვანონ ისეთი ძალები, როგორიც მოვიდა 2003 წელს.

***– ითვლება, რომ პრემიერი რესპუბლიკელების დღის წესრიგით მოქმედებს. ექსპერტულ წრეებში პროტესტი გამოიწვია იმან, რომ რესპუბლიკელი თავდაცვის მინისტრი იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც არაა შეთანხმებული პრემიერთან და არც – უმაღლეს მთავარსარდალთან, ანუ პრეზიდენტთან.***

– პრეზიდენტი ცალკე თემაა. ქვეყანას უმაღლესი მთავარსარდალი არ ჰყავს. პრეზიდენტი ნომინალური ფიგურაა. მარგველაშვილის ფუნქციებიც გაუგებარია, განცხადებებიც და პოლიტიკური პოზიციებიც. გიგი წერეთლის ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე მხარდაჭერა ამის მაგალითია. მარგველაშვილს არჩევნების შემდეგ გამოიყენებენ ის ლიბერალური ძალები, რომლებზეც ვისაუბრე.

რესპუბლიკელების მიმართ გაუგებარია პრემიერის პოზიციაც. თინა



**„სოციოლოგიური გამოკითხვები ხშირად პოლიტიკური ინსტრუმენტია“**

ხიდაშელის თვითნებური გადაწყვეტილება იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფოში ერთიანი პოლიტიკური ნება ვერ ხორციელდება. თინა ხიდაშელი საერთოდ არ უნდა იყოს თავდაცვის მინისტრი. მისი ამ პოსტზე ყოფნის ყოველი დღე დიდ ზიანს აყენებს ქართულ ჯარს.

***– გაუგებრობას იწვევს რესპუბლიკური პარტიის მდგომარეობა.***

– მას შემდეგ, რაც რესპუბლიკური პარტია გამოვიდა კოალიციიდან, ამ პარტიის წევრი მინისტრები უნდა გადაეყენებინათ თანამდებობებიდან. ხელისუფლების უმოქმედობას ამ კუთხით გამართლება არ აქვს. თინა ხიდაშელის ბევრი მოქმედება თავხედური და გამომწვევია. ის არ ემორჩილება ცენტრალურ ხელისუფლებას. მას და სხვა რესპუბლიკელ მინისტრებსაც ხალხში ნდობა არ გააჩნიათ. მათ უარყოფითი რეიტინგი აქვთ. მოსახლეობის ლამის 95% მათ ვერ იტანს. ხიდაშელის ნაბიჯები მიმართულია სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

***– იქნებ პრემიერს ნატოს სამიტი აბრკოლებს?***

– ესეც არასწორი მიდგომაა. რას შეცვლის ხიდაშელის ჩასვლა ვარშავაში? სხვა ვერ წავა ნატოს სამიტზე? წინასწარ ცნობილია, რომ ამ სამიტზე საქართველოსთვის ახალი არაფერი იგეგმება. ხიდაშელი კი არა, ნაპოლეონი რომ გააცოცხლონ და ის გაუშვან ვარშავაში, მაინც არაფერი შეიცვლება. ჩვენ ღიად გვითხრეს, რომ ახლა ნატოში არ გვიღებენ და არც მაპს გვაძლევენ.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ საარჩევნოდ შეიძლება ჩამოვიდეს იგორ გიორგაძე. მანამდე უნდა დასრულდეს მისი სასამართლო პროცესი, რომელიც დაჩქარებულად მიმდინარეობს.***

– საქართველოს პოლიტიკაში ისეთი სტრიპტიზი და ტრაგიკომიკური ამბები ხდება, რომ ესეც არ იქნება გასაკვირი. ცესკოში დარეგისტრირებულ ორგანიზაციებს რომ გადახედოს კაცმა, ფსიქიატრის განმარტება დასჭირდება. გაუგებარია, რისთვის ხარჯავენ ეს პარტიები თანხებს და რა მიზნები ამოძრავებთ. გაუგებარია ისიც, რატომ ჰყავთ მხარდამჭერები იმ პარტიებს, რომლებიც ჩადენილი დანაშაულების გამო აქამდე უნდა აეკრძალათ.

ამ ვითარებაში იგორ გიორგაძის გამოჩენაც არ უნდა გაგვიკვირდეს. იმ ქვეყანაში, სადაც თავდაცვის მინისტრი არ ემორჩილება ცენტრალურ ხელისუფლებას, გაოცებას არაფერი იწვევს.

# სულხან მოლაშვილი პარიზში გარდაიცვალა

**გუშინ, 29 ივნისს, დილის 7 საათზე, პარიზში, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი გარდაიცვალა. როგორც მისი ძმა, თორნიკე მოლაშვილი აცხადებს, გარდაცვალების მიზეზი ღვიძლის უკმარისობა გახდა.**

წინა ხელისუფლებამ კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი 2004 წლის აპრილში დააპატიმრა და 9 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. საქმე მაშინვე იქცა საჯარო განხილვის თემად და იმჟამინდელ ხელისუფლებას არასამთავრობო სექტორი, ოპოზიციური პარტიები თუ საერთაშორისო ორგანიზაციები ღიად მიანიშნებდნენ, რომ მოლაშვილი პოლიტპატიმარი იყო, თუმცა...

— ჩვენ მოლაშვილს არსად გავუშვებთ მანამ, სანამ ის არ მოიტანს თითოეულ თეთრს, რომელიც მოსახლეობას მოპარა, — განაცხადა მაშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

მალე სოციალურ ქსელებსა თუ პრესაში მოლაშვილის წამების ამსახველი კადრები გავრცელდა. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ფეხები და ზურგი სიგარეტით ჰქონდა ამომწვარი და ეს ექსპერტებმაც დაადასტურეს, მაგრამ ხელისუფლება ამ ამბავსაც მშვიდად შეხვდა და ზოგადად, მოლაშვილის ბედი მაშინ გადაწყდა, როცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ მოლაშვილი დამნაშავეა.

შეგახსენებთ, რომ მაშინ ჯერ განაჩენი არ იყო გამოტანილი და კუბლაშვილმა უდანაშაულობის პრეზუმპცია უბრალოდ ფეხქვეშ გათელა.

განაჩენის გამოტანისა და ყველა ინსტანციის მოვლის შემდეგ, მოლაშვილის საქმე სტრასბურგში წავიდა. ამას ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური რეაქცია მოჰყვა და ამჯერად მისი ძმა, თორნიკე მოლაშვილი, დააპატიმრეს. ბატონი თორნიკე არ მალავდა, რომ ხელისუფლების ერთადერთი მოთხოვნა სარჩელის გამოტანა იყო, თუმცა მაშინ ხელისუფლებამ ამას ვერ მიაღწია.

მოლოდინისამებრ, სტრასბურის სასამართლომ უპრეცედენტო ვერდიქტი გამოიტანა და ქართული მხარის გადაწყვეტილება ოთხ მუხლში დაიწუნა.



სტრასბურიდან საქართველოს ხელისუფლებას მიუთითეს, რომ მოლაშვილს არ ჰქონდა სამართლიანი სასამართლო, დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმპცია და სახეზე იყო პატიმრის წამება.

ამის მიუხედავად, ხელისუფლებამ ყურები არ შეიბერტყა და მაშინაც არ ამოუღია ხმა, როცა მოლაშვილმა პირდაპირ თქვა, რომ მის წამებას უშუალოდ ესწრებოდა გიგა ბოკერია.

სხვათა შორის, მოლაშვილმა ისიც თქვა, კონტროლის პალატის თავმჯდომარეობის დროს, ჩემი უწყება თბილისის საკრებულოში შევიდა და იქ სერიოზული დარღვევები აღმოაჩინაო. სწორედ მოლაშვილმა ატეხა მაშინ ხმაური. საკრებულოს თავმჯდომარე კი მიხეილ სააკაშვილი იყო.

ციხიდან მოლაშვილი შერყეული ჯანმრთელობით გამოვიდა. მას ხანგრძლივი მკურნალობა ჩაუტარდა საფრანგეთში, თუმცა მაშინვე ითქვა, რომ ეს საკმარისი არ იყო და რამდენიმე კურსი კიდევ უნდა ჩასტარებოდა.

სწორედ მკურნალობის მორიგი კურსის ჩასატარებლად გაემგზავრა ბატონი სულხანი საფრანგეთში და გუშინ, დილის 7 საათზე, პარიზში გარდაიცვალა.

# გიგი წერეთელი: „ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობა ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია“

საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ადეკვატური პოზიცია და არ უნდა შელახოს ქვეყნის რეპუტაცია, — ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიგი წერეთელმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე მისი კანდიდატურის ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე წარდგენასთან დაკავშირებით განაცხადა.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე გიგი წერეთლის კანდიდატურა „ევროპის სახალხო პარტიამ“ წარადგინა. გიგი წერეთელმა ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებს არაკომპეტენტური, პოლიტიკურად უმწიფარი და მავნებლური უწოდა.

**გიგი წერეთელი:**

— ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობა ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენლისთვის და ნებისმიერი ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი მოვლენა იმიტომ, რომ ეს არის უნიკალური ფორუმი, რომელიც იძლევა საშუალებას იყო ფოკუსირებული არა მარტო შენი ქვეყნის პრობლემებზე და ეს პრობლემები საქართველოს უსაფრთხოების და თანამშრომლობის თვალსაზრისით საკმაოდ ბევრი აქვს. ჩვენ ოკუპირებული ტერიტორიები გვაქვს, ასევე გვაქვს დევნილების პრობლემა და ვართ ევროპული ინტეგრაციის აქტიურ ფაზაში.

ყველაზე ნაკლებად ჩახედული ადამიანიც კი მიხვდება, რამხელა მნიშვნელობა აქვს ასეთი ინსტიტუტის პრეზიდენტად საქართველოს წარმომადგენლის ყოფნას.

მისივე თქმით, მას აქვს პატივი ორჯერ იყოს არჩეული ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად და ახლა უპრეცედენტო მოვლენაა, როცა ქართველის კანდიდატურა წარდგენილი არის პრეზი-



დენტის პოსტზე.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მხარი დაუჭირა გიგი წერეთლის კანდიდატურას. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიგი წერეთელმა პრეზიდენტის პოზიციას ადეკვატური უწოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ნუკრი ქანთარია გიგი წერეთელზე — ხელები ბრმად არ უნდა ავწიოთ

— მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენი გვარის ადამიანია, ჩვენი ეროვნების ადამიანია, არა მგონია ერთპიროვნულად და ბრმად ხელები უნდა ავწიოთ მის მხარდასაჭერად, — ასე უპასუხა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუკრი



ქანთარიამ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, გიგი წერეთლის კანდიდატურის მხარდაჭერასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას.

მისი თქმით, წერეთელი თანამონაწილეა „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის.

**ნუკრი ქანთარია:**

— მე ვემხრობი ჩემს თანაგუნდელებს. მიუხედავად იმისა, რომ კარგი გვარის კაცია, ის პირდაპირ და ირიბად თანამონაწილეა და არც გამიჯვნია იმ გუნდს, რომელმაც ძალიან ბევრი, არცთუ სასიამოვნო დღეები მოუტანა ჩვენ საზოგადოებას. ამიტომ, მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენი გვარის ადამიანია, ჩვენი ეროვნების ადამიანია, არა მგონია ერთპიროვნულად და ბრმად ხელები უნდა ავწიოთ მის მხარდასაჭერად.

ამასთან, ქანთარია არ არის დარწმუნებული, რომ წერეთელი საქართველოს მხარდასაჭერად „თავს გამოიდებს“.

— ბატონი გიგი ყოველთვის მოქნილი პოლიტიკოსია. არა მგონია, დიდად გამოიდოს თავი, — აღნიშნა ქანთარიამ.

როგორც ცნობილია, საპარლამენტო უმრავლესობისგან განსხვავებით, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის თანამდებობაზე გიგი წერეთლის კანდიდატურას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მხარს უჭერს.

**ინტერპრესნიუსი**

# მოკლული ომარ ქაფიაშვილის ძმა კატეგორიულად უარყოფს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წევრობას აპირებდა




მოკლული ომარ ქაფიაშვილის ძმა, მალხაზ ქაფიაშვილი კატეგორიულად უარყოფს მაგდა პაპიძის დედის, ლია შამუგიას მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წევრობას აპირებდა. ამის შესახებ მალხაზ ქაფიაშვილმა პალიტრატვ.გე-სთან ინტერვიუში განაცხადა. მისი მტკიცებით, ეს არის ტყუილი.

— წვერი რომ გაქვს ადამიანს და თურქეთში ხარ, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ტერორისტი ხარ? ნახევარი საქართველო იქით არის და ვიზა აქვს გაფუჭებული, მაგრამ ეს არ ამტკიცებს არაფერს, — განაცხადა მალხაზ ქაფიაშვილმა და აღნიშნა, რომ მას ძმასთან ამ საკითხის გამო არავითარი დაპირისპირება არ ჰქონია, როგორც ეს ლია შამუგიამ განაცხადა და პირიქით, ძმასთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

გარდაცვლილი ომარ ქაფიაშვილის ძმა, მალხაზ ქაფიაშვილი „ისლამური დაჯგუფების“ წევრობას აპირებდა, — ამის შესახებ ქმარშვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძის დედამ ლია შამუგიამ განაცხადა.

— მე ისიც მაქვს გაგებული, რომ მახოს უნდოდა „ისლამურ დაჯგუფებაში“ შესვლა. ჩვენ ფეისბუქზე




სურათიც მოვიპოვეთ, მერე წაშალა ეს სურათები და ლანა დაბლოკა. წვერიანი ბიჭები დამანახა ლანამ სურათში. ომარი სულ ეჩხუბებოდა, თუ ბრძოლა გინდა, ჩემს გვერდით დადექი და იბრძოლეო. სულ ჰქონდათ ამაზე ჩხუბი, ნუ მარცხვენო, ამის გაკეთება როგორ შეიძლებაო. უშლიდა ძალიან ამ „ისლამურ დაჯგუფებაში“ წასვლას. შეიძლება სრულიად ალალ-მართალია ეს ბიჭი, მაგრამ არ ვიცი, — განაცხადა ლია შამუგიამ.

მეუღლისა და შვილის მკვლელობაში ბრალდებულ მაგდა პაპიძის საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ. პროცესზე უკვე დაიკითხნენ მოკლული ომარ ქაფიაშვილის დედა, დარეჯან მინდიკაური, ძმა მალხაზ ქაფიაშვილი და მათი მეზობლები.

ომარ და თორნიკე ქაფიაშვილები 2015 წლის 19 დეკემბერს გარდაცვლილები იპოვეს. სამართალდამცველებმა მაგდა პაპიძე 20 დეკემბერს დააკავეს.

**ინტერპრესნიუსი**

# ესპანეთის პოლიციამ საქართველოს მოქალაქეებისგან შემდგარი დანაშაულებრივი ჯგუფი დააკავა

ესპანეთის პოლიციამ საქართველოს მოქალაქეებისგან შემდგარი დანაშაულებრივი ჯგუფი, მადრიდში ბინების ძარცვის ბრალდებით დააკავა.

ისინი 40-მდე ბინის ძარცვაში არიან ეჭვმიტანილები. ბანდის ლიდერი კი, გავრცელებული ინფორმაციით, დაჯგუფებას თურქეთის ციხიდან აკონტროლებდა, სადაც ის 8 წლიან სასჯელს იხდის.

ჩხრეკის დროს სამართალდამცველებმა ნაძარცვი ნივთები ამოიღეს.

გამოძიება აღნიშნულ საქმეზე წლის დასაწყისიდან მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მარია ზახაროვა: „ჩვენთვის სულ ერთი არაა საქართველოს არჩევნების შედეგები“

რუსეთი საქართველოში წინასაარჩევნოდ მიმდინარე პროცესებს ძალიან დიდი ყურადღებით აკვირდება. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ ბრიფინგზე განაცხადა.

— რაც შეეხება საქართველოში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს, ეს, რა თქმა უნდა, ქვეყნის ხალხის კომპეტენციაა. ასეთია ჩვენი ბაზისური მიდგომა. მაგრამ ამასთანავე, საქართველო ჩვენი მეზობელია და ჩვენთვის სულ ერთი არ არის ამ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგები, რადგან ამაზე დამოკიდებულია, თუ ვინ მოვა საქართველოს ხელისუფლებაში. შესაბამისად, ამ პროცესებს ძალიან დიდი ყურადღებით ვაკვირდებით. იმაზე, თუ ვინ მოვა ხელისუფლებაში, დამოკიდებულია ქვეყნის მიერ გამოცხადებული კურსი როგორც მის შიგნით, ისე გარეთაც.

**ინტერპრესნიუსი**

# სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა

სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პანკისის ხეობიდან აცნობეს, დაღუპული სოფელ დუისის მკვიდრი, უმარ მარგოშვილია.

არსებული ინფორმაციით, მარგოშვილი სირიაში 2015 წელს გაემგზავრა და დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იბრძოდა.

როგორც ცნობილია, გუშინ სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქის დაღუპვის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. ამ შემთხვევაში გარდაცვლილი 22 წლის ასლანბეგ ბორჩაშვილია.

**ინტერპრესნიუსი**

# „ვანო მერაბიშვილი დღეს ციხეში ბედნიერად ცხოვრობს“

გულიკო ბალაძე



## მამუკა ტუსკაძე: „მერაბიშვილის, სააკაშვილისა და ბოკერიას ქონება ივანიშვილის ქონებას არაფრით ჩამოუვარდება“



გერმანული ორგანიზაციის მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევებით, სამართლიანობის აღდგენის მსურველთა დაბალი პროცენტია დაფიქსირებული, თუმცა პროკურატურაში ჯერ კიდევ უამრავი გამოუძიებელი საქმე დევს.

„ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე ადვოკატ მამუკა ტუსკაძეს ესაუბრა.

***– სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში გარკვეული დანაშაულებრივი სქემების გაშიფვრა, საქმეების გამოძიება და გარკვეული პირების მხილება საჭიროა თუ ეს წარსულია?***

– სამართლიანობის განცდა საზოგადოებაში უნდა დაბრუნდეს. ამისთვის პრინციპები განსაზღვრულია – მორალურ-ზნეობრივი საზოგადოებაა საჭირო.

***– ვანო მერაბიშვილისთვის სამართლიანობა რა არის?***

– ვანო მერაბიშვილისთვის სამართლიანობაა თუ ის მინისტრად დაბრუნდება და კიდევ ერთხელ მოითხოვს ორ გვამს. ორი გვამი მისთვის იყო სამართლიანობა. მერაბიშვილს ორი გვამი მისი გავლენების შესანარჩუნებლად სჭირდებოდა და არა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

***– მერაბიშვილი, ცხადია, იტყვის, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. ზოგადად უმაღლესი თანამდებობის პირმა სახელმწიფო ინტერესი ხომ უნდა გაითვალისწინოს?***

– იქ არაფერი ხდებოდა ისეთი, რომ სახელმწიფო ინტერესი ყოფილიყო გასათვალისწინებელი. ადამიანები ჩამოიტყუეს და უბედურებაში გახვიეს. სახელმწიფო ინტერესი მაშინ უნდა გაეთვალისწინებინათ, პროვოკაციაზე რომ წამოეგნენ და ქვეყანა ომის ქარცეცხლში გახვიეს. სააკაშვილის რეჟიმის პირობებში მოქმედებდა დანაშაულებრივი სქემები, რომელიც შემუშავებული იყო იმდროინდელი მაღალჩინოსნების მიერ.

***– მერაბიშვილის დანაშაულებრივ სქემებზე რა იცით?***

– მერაბიშვილი ციხეში ზის. დღეს ციხე ძალიან თავისუფალია. მისი მინისტრობის დროს ციხეში ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს მაღალჩინოსნები ისხდნენ. იმ წლების განმავლობაში ისინი სასჯელს იხდიდნენ უმკაცრეს პირობებში. მათ არ ჰქონდათ ტელეფონი, მიმოწერის საშუალება, პრესის მიღების საშუალება და სხვა. არადა, ისინი იყვნენ ძალიან მაღალი თანამდებობის პირები.

რისთვის იჯდა ციხეში კახა სოფრომაძე? იმისათვის, რომ თქვა, არ შეიძლება სააკაშვილისნაირად მართო ქვეყანაო. ჯანდაცვის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე იყო კიდევ დაპატიმრებული და უმკაცრეს პირობებში იხდიდა სასჯელს. დღეს მერაბიშვილს, უგულავას და სხვებს ხელი მიუწვდებათ ინტერნეტზეც კი.

***– ნაციონალები ამბობენ, ჩვენ ცუდად ვიქცეოდით, მაგრამ თქვენ კარგად უნდა მოიქცეთ და კარგად უნდა შეასრულოთ კანონიო.***

– მეც ვამბობ – ნაციონალებსაც უნდა შეესრულებინათ კანონი და „ოცნებამაც“ უნდა შეასრულოს.

***– ადრე თქვენ მითხარით, რომ მერაბიშვილი ციხიდან მართავს პროცესებს. კონკრეტული მაგალითი გაქვთ?***

– სტრასბურის გადაწყვეტილებამ მთლიანად გაგვახსენა და ნათლად დაგვანახა, რომ დღეს მერაბიშვილი ციხიდანაც მართავს პროცესებს. დღესაც ვანო მერაბიშვილის ბიზნესები სამშენებლო სფეროში ყვავის. ნახეთ, არაყიშვილის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობაში რამდენია ვანო მერაბიშვილისა და მისი ოჯახის წილი.

***– უკანონოდ და თანამდებობის გამოყენებით აქვს მერაბიშვილს ბიზნესები?***

– დიახ, დანაშაულებრივი გზით აქვს. მერაბიშვილმა თავის მეგობრებთან ერთად შექმნა სამშენებლო კომპანია. თუ სადმე კარგ ადგილებზე მდებარე შენობებში პოლიცია იყო განთავსებული, დაანგრია. მაგალითად, არაყიშვილის ქუჩაზე და შუშის შენობები გააკეთა. ძველი შენობების ადგილები კი თავისი ბიზნესის აყვავებისთვის გამოიყენა.

***– ეს იყო ფულის მოხვეჭის ერთ-ერთი სქემა?***

– დიახ. მეორე სქემა – ვანო მერაბიშვილი არის ერთ-ერთი პირველი ადამიანი საქართველოში გიგა ბოკერიასა და დავით გიორგაძესთან ერთად (დღეს ირაკლი სონღულია აგრძელებს მათ გზას), რომლებმაც საქართველოში 1995 წელს დააარსეს მიწის მესაკუთრეთა ასოციაცია და მთლიანად ჩაიგდეს ხელში საქართველოში მიწის მართვის სადავეები.

***– როგორ?***

– ისინი 1995-99 წლების პარლამენტის დეპუტატებიც იყვნენ, გააუქმეს მიწის მართვის დეპარტამენტი, დოკუმენტები კი დაწვეს.

***– დოკუმენტები დაწვეს?***

– დიახ, დადგენილი ფაქტია. ცეცხლი სახანძრო სამსახურმა ჩააქრო. თუმცა, დოკუმენტები დაიწვა.

***– დადგინდა, რომ მერაბიშვილმა და მისმა ხალხმა დაწვა?***

– ვანო მერაბიშვილს უნდოდა ქონების მართვის მინისტრობა 1995-99 წლებში და შექმნეს არასამთავრობო ორგანიზაცია, ამერიკის ელჩმა უზრუნველყო ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციას ჰქონოდა ძალიან სერიოზული ფინანსები. სახელმწიფოს ფუნქციები მისმა არასამთავრობო ორგანიზაციამ წაიღო. მაგნაირი არასამთავრობო ორგანიზაცია ბევრია საქართველოში.

***– სახელმწიფოს ფუნქციებს არასამთავრობო ორგანიზაცია როგორ შეასრულებს?***

– მიწის რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა დაევალა რაღაც არასამთავრობო ორგანიზაციას. შემდეგ მიწის მესაკუთრეთა ასოციაციამ შექმნა საჯარო რეესტრი. საჯარო რეესტრში დამლაგებელიც კი არ ინიშნებოდა მიწის მესაკუთრეთა ხელმძღვანელობისა და პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილების გარეშე. ეს სფერო მთლიანად ჩაიგდო ხელში ვანო მერაბიშვილმა.

ვანო მერაბიშვილმა, გიგა ბოკერიამ, დათო გიორგაძემ და ირაკლი სონღულიამ მოახერხეს ის, რომ მიწის მართვის სფერო მათი მარწუხებიდან დღესაც ვერ გამოდის.

***– რატომ ვერ გამოდის?***

– მერაბიშვილისა და მისი სქემების ბრალია, რომ დღეს მოქალაქეები მიწის რეგისტრაციისას გაწამებულები არიან. სარეგისტრაციო სამართალწარმოებაში მათ ჩადეს ნაღმები, რომლებიც დღემდე მოგვყვება. სხვადასხვა ფორმებით, სხვადასხვა სქემებითა და გზებით ჯერ ქონება მიითვისეს და ახლა მიტაცებული ქონების გაკანონიერება ხდება. დიდი ქონება აქვთ მერაბიშვილს და მის მეგობრებს მითვისებული და ბედნიერად ცხოვრობენ.

***– ბედნიერად?***

– დიახ, ბედნიერად. ციხეში საფიქრალი არ აქვს, როგორ იცხოვრებს მისი ცოლ-შვილი. მილიარდობით ქონება დააგროვა. მერაბიშვილ-სააკაშვილისა და ბოკერიას ქონება ბიძინა ივანიშვილის ქონებას არაფრით ჩამოუვარდება. აქ საუბარია ორი დიდი ქონების პატრონთა ჯახზე. სამოქმედო სივრცე კი დანაღმულია მერაბიშვილის, ადეიშვილის, ბოკერიასა და სხვათა მიერ.

***– ანუ მერაბიშვილები, ბოკერიები და სხვები ქონების შესანარჩუნებლად იბრძვიან?***

– რა თქმა უნდა. აბა, სამშობლოს სიყვარული მათ არ ამოძრავებთ. იმ კაცზე, ვინც თუნდაც ერთ ადამიანს სიცოცხლეს მოუსწრაფებს, ვერ ვიტყვით, რომ სამშობლოს სიყვარული ამოძრავებს. არაფრად ღირდა იმის თქმა, რომ ორი გვამი უნდა. მერაბიშვილს ბრძანება მართლა შეუსრულეს, ორი გვამი მიართვეს. არაფრის ფასად არ ღირს 150 კაცზე მეტი ქუჩაში ჩაცხრილული მოქალაქე.

# კონიფა ამჯერად ცხინვალს მოუნდა

შორენა მარსაგიშვილი

**ოფიციალურ თბილისს აფხაზეთში არაღიარებულთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება ჯერ მონელებული არ ჰქონდა, რომ კონიფამ მორიგი სიურპრიზი შემოგვთავაზა. მოვლენები თუ ისე განვითარდა, როგორც სამხრეთელ ოსებს უნდათ, კონიფას ეგიდით ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში შესაძლოა სამხრეთ ოსეთმა უმასპინძლოს.**






არაღიარებულთა ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში 2017 წელს უნდა გაიმართოს. სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავკაცის, სერგეი ზასეევის განცხადებით, თანხების მობილიზების შემთხვევაში ისინი ჩემპიონატისთვის მომზადებას უპრობლემოდ შეძლებენ.

არაღიარებულებს შორის პირველად ევროპის ჩემპიონატი გასულ წელს ჩატარდა. ღონისძიებას უნგრეთის ქალაქმა დებრეცენმა უმასპინძლა. სამხრეთელებს ამ ჩემპიონატზე მონაწილეობა სულით და გულით სურდათ, მაგრამ, თბილისის მოთხოვნით, მათი გეგმები ჩაიშალა.

– საქართველოს ხელისუფლების ზეწოლის შედეგად უნგრეთის ხელისუფლებამ აფხაზი და ოსი ფეხბურთელებისთვის ვიზების გაცემაზე უარი თქვა, – იუწყება ოსური მედია.

ევროპის ჩემპიონატზე დაუსწრებლობის სიმწარე აფხაზებმა წელს აინაზღაურეს. კონიფას ეგიდით მათთან ჩატარდა არაღიარებულთა მსოფლიო ჩემპიონატი. ტურნირის გამარჯვებული აფხაზეთის ნაკრები გახდა.

ამ ღონისძიებას ცხინვალის დელეგაციაც ესწრებოდა. ოსებს სწორედ იქ გასჩენიათ სურვილი, რომ თავადაც ემასპინძლათ არაღიარებულთა ბურთაობისთვის.

– აფხაზეთში ყოფნისას მე შევხვდი კონიფას ხელმძღვანელობას და ევროპის ჩემპიონატის ცხინვალში ჩატარება შევთავაზე, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში სერგეი ზასეევმა.

ტურნირის მასპინძლობისთვის სამხრეთ ოსეთმა გარკვეული პირობები უნდა დააკმაყოფილოს. როგორც ზასეევი ამბობს, მოთხოვნების სია მათ უკვე გადასცა კონიფას ხელმძღვანელობამ.

კონიფას უმთავრესი მოთხოვნაა, რომ რესპუბლიკაში მინიმუმ 2 სტადიონი მაინც იყოს, სადაც ფეხბურთის თამაში შეიძლება.

კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, ცხინვალში მართლაც არის 2 სტადიონი.

– რესპუბლიკის სტადიონი კონიფას ნორმებს სავსებით აკმაყოფილებს. ცხინვალის ცენტრში მდებარე საფეხბურთო მოედანი კი ასეთი ტურნირისთვის არ გამოდგება, – აღნიშნავს ზასეევი.

მისი განმარტებით, ევროპული ბურთაობის მასპინძლობაში ცხინვალს ხელი შესაძლოა სხვა მიზეზებმაც შეუშალოს.

– ჩვენთან სათანადოდ არ არის განვითარებული სასტუმროების ინფრასტრუქტურა. რაც ფეხბურთელების განთავსებაში ხელს შეგვიშლის, ალარაფერს ვამბობთ მაყურებელზე, რომელიც თავის გუნდს ჩამოჰყვება, – ამბობს ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე.

მისი თქმით, ცხინვალისთვის ეს ჩემპიონატი ძალიან მნიშვნელოვანია და ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ მასპინძლობის უფლება მოიპოვონ. საამისოდ კი საკმაოდ ცოტა დრო აქვთ.

ცნობისთვის, არაღიარებულთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის, ცხინვალის გარდა, დნესტრისპირეთი და დონეცკის სახალხო რესპუბლიკაც იბრძვიან.

# თბილისის მცხოვრებლებს დასუფთავების დავალიანების გადახდა ეტაპობრივად შეეძლებათ



თბილისში დასუფთავების გადახდის წესში ცვლილება შევიდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „თბილსერვის ჯგუფიდან“ აცნობეს, ცვლილების თანახმად, დედაქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებ ფიზიკურ პირებს, რომელთაც გააჩნიათ დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანება, საშუალება ეძლევათ აღნიშნული თანხა დაფარონ ეტაპობრივად – თორმეტი თვის განმავლობაში.

– თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინიციატივით, „თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის 17-46 დადგენილებაში“ ცვლილება შევიდა. ცვლილების შესაბამისად, თბილისის მთავრობამ გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად, დედაქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებ ფიზიკურ პირებს, რომელთაც გააჩნიათ დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანება, საშუალება ეძლევათ აღნიშნული თანხა დაფარონ ეტაპობრივად – თორმეტი თვის განმავლობაში.

თბილისის დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებელი ერთ სულ მოსახლეზე განსაზღვრულია თვეში – 2.5 ლარი, ხოლო იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 57.000 ან 57.000-ზე დაბალია, მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განსაზღვრულია თვეში – 2 ლარის ოდენობით, – ნათქვამია „თბილსერვის ჯგუფის“ განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# სტიქიის შედეგად აჭარაში 350-მდე ოჯახი გარე სამყაროსაა მოწყვეტილი

ადიდებულმა მდინარემ ქედისა და შუახევის რაიონებში რამდენიმე ხიდი წაიღო. არსებული ინფორმაციით, 10 ოჯახის უსაფრთხო ადგილას გადაიყვანა გახდა საჭირო.

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელის ტარიელ ებრალიძის განაცხადებით, გარე სამყაროს 350-მდე ოჯახია მოწყვეტილი.

– გარე სამყაროს მოწყვეტილია 300-350 ოჯახი. გამგეობა მობილიზებულია გაწმენდითი სამუშაოებისთვის და იმისთვის რომ ელექტროენერგიის მიწოდება და სოფლებს შორის მიმოსვლა აღდგეს, – განაცხადა გამგებელმა.

**ნიუსპრესი**

# პროექტი „დაცული ბუნებრივი ტერიტორიების მდგრადი მართვის ინოვაციები“

პროექტი „დაცული ბუნებრივი ტერიტორიების მდგრადი მართვის ინოვაციები (4GreeInn)“ განხორციელდა შავი ზღვის აუზის ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამის დაფინანსების ფარგლებში კონსორციუმის მიერ. რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პარტნიორები: ბურგასის მუნიციპალიტეტი(ბულგარეთი); სამხრეთ აღმოსავლეთის რეგიონის განვითარების სააგენტო (SERDA, რუმინეთი) და ა(ა)იპ „საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი“ (IBEDC, საქართველო).

პროექტის მიზანს შავი ზღვის რეგიონის დაცული ტერიტორიების მდგრადი მართვა და პარტნიორი რეგიონების დაცული ტერიტორიების ურბანული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო სტრატეგიებში ინტეგრირების ინოვაციური მეთოდების დანერგვა წარმოადგენდა.

საქართველოში პროექტს ახორციელებდა ა(ა)იპ საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი. პროექტის სამიზნე რეგიონი გახლდათ აჭარა. სამიზნე დაცულ ტერიტორიად შერჩეული იქნა მაჭახელას ეროვნული პარკი, რომლის ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური ფორმირება ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და ყველაზე მეტად საჭიროებდა მხარდაჭერას. აღსანიშნავია, რომ პროექტი ხორციელდებოდა საქართველოს დაცულ ტერიტორიების სააგენტოსთან თანამშრომლობისა და მხარდაჭერის პირობებში.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების, მიღებული შედეგების და პროდუქტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

● **აჭარის რეგიონში დაცულ ტერიტორიების ფონური კვლევა (Development of the state-of-the-art research of all protected areas Ajara region)** – კვლევის მიზანი იყო აჭარის რეგიონის დაცული ტერიტორიების მიმოხილვა, არსებული სიტუაციის ანალიზი და პრობლემების იდენტიფიცირება, მონაცემთა ბაზის შექმნა პროექტის ვებ-პლატფორმისათვის, SWOT ანალიზი, სამომავლო პოტენციალის განსაზღვრა და შეფასება;

● **აჭარის დაცული ტერიტორიებისთვის ტურიზმის განვითარების მარკეტინგული გეგმის შემუშავება** – აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: აჭარის დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის განსაზღვრა და შეფასება; ერთობლივი ტურისტული პროდუქტების და მარშრუტების შექმნა, SWOT ანალიზი, დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრებისთვის ტურისტული – საკომუნიკაციო გეგმის შექმნა,

სტრატეგიული მარკეტინგული გეგმის შექმნა; რეკომენდაციები დაცული ტერიტორიების არსებული ტურისტული პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და პრომოუშენის მიზნით;

● **საერთო ვებ-პლატფორმის შექმნა: „შავი ზღვის ეკოპედია“** – პარტნიორი ქვეყნების სამიზნე რეგიონების დაცული ტერიტორიების შესახებ, რომელმაც უზრუნველყო შავი ზღვის რეგიონის დაცული ტერიტორიების შესახებ საჭირო და მდიდარი ინფორმაციის აკუმულირება – **www.bs-ecopedia.eu**;

● **საინფორმაციო დღის ორგანიზება: „შავი ზღვის ეკოპედია“** – ვებ-პლატფორმის ხელშეწყობის და პოპულარიზაციისთვის; ბათუმის შ. რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საინფორმაციო დღე, რომლის დროსაც წარმოდგენილი იქნა: პროექტის ვებ-პლატფორმა; პროექტის აქტივობების, მაჭახელას ეროვნული პარკის და სხვა აჭარის დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია. შეხვედრას ესწრებოდნენ დაინტერესებული მხარეები: მათ შორის – დაცული ტერიტორიების, ტურიზმის სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. აგრეთვე ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები; აგრეთვე მოეწყო აჭარის დაცული ტერიტორიების ფოტო სურათების გამოფენა;



მაჭახელას ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის ტექნიკური დიზაინი

● **მაჭახელას ეროვნული პარკისთვის ვიზიტორთა ცენტრის ტექნიკური დიზაინის შემუშავება და სადემონსტრაციო მოდელის შექმნა** – პროექტის ფარგლებში კონტრაქტორების მიერ, ჩატარებული კვლევით გამოვლენილი არსებული სიტუაციის და მოთხოვნების შესაბამისად შეიქმნა მაჭახელას ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის ტექნიკური დიზაინი თავისი ტექნიკური მახასიათებლებით. აგრეთვე შეიქმნა დაცული ტერიტორიის პოტენციალის გამოყენების ინოვაციური მეთოდების სადემონსტრაციო მოდელი. შესაბამისად მომზადდა ვიზიტორთა ცენტრის ვიდეო-რგოლი (3D სადემონსტრაციო მოდელი), რაც წარმოადგენს ვიზიტორთა ცენტრის სრულყოფილ ვიზუალიზაციას;

პროექტის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი გახლავთ მისი მთავარი პროდუქტის ვიზიტორთა ცენტრის ტექნიკური დიზაინის პრაქტიკული გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური დიზაინის საფუძველზე მოხდება ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა, რომლის დაფინანსებაც დაგეგმილია საერთაშორისო დონორების მიერ.

● **საინფორმაციო-პრომო მასალები** – პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა პროექტის საინფორმაციო ბროშურა, ლიფლეტი, ტექნიკური დიზაინის და დემო მოდელის შესახებ კატალოგი – რომელებშიც განთავსებული იქნა ინფორმაცია პროექტის აქტივობების, შედეგების და პროდუქტების შესახებ (ფოტო მასალა და ა.შ.)

2016 წლის 2 ივნისს, ქ. ბურგასში (ბულგარეთი), ბურგასის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით (პროექტის წამყვანი პარტნიორი) ჩატარდა პროექტის შემაჯამებელი კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები და ბურგასის რეგიონის დაინტერესებული(შტაკეჰოლდერ) მხარეების წარმომადგენლები. ქართულ მხარეს წარმოადგენდა ა(ა)იპ „საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი“(IBEDC). აღნიშნულ კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა თითოეულ პარტნიორის მიერ განხორციელებული აქტივობები, შედეგები და პროდუქტები. აგრეთვე პარტნიორების მიერ ასევე განისაზღვრა პროექტის შემდეგომი გაგრძელების ძირითადი მიმართულებები, მათ შორის პროექტის პარნტიორად თურქული მხარის (ტრაბზონის რეგოინის) ჩართვა, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის კუთხით – მაჭახელას ეროვნული პარკი და ჯამილის ბიოსფეროს ნაკრძალს შორის თანამშრომლობის განვითარების პოტენციალი.

პროექტის **„დაცული ბუნებრივი ტერიტორიების მდგრადი მართვის ინოვაციები (4GreeInn)“** ფარგლებში, მიმდინარე წლის 16 ივნისს ქ. ბათუმში, სასტუმრო ,,Divan Suites“-ში პროექტის დასკვნითი პრესს-კონფერენცია(შემაჯამებელი შეხვედრა) გაიმართა.

შეხვედრა გახსნა საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა და პროექტის კოორდინატორმა ბ-მა დავით ცისკარიძემ, რომელმაც შეაჯამა განხორციელებული პროექტი, მისი შედეგები და პროდუქტები. შეხვედრის მთავარი ფოკუსი გახლდათ პროექტის შედეგებისა და პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული (Stakeholder) მხარეებისათვის. შესაბამისად მოწვეული სტუმრების მიერ მოწონებული და მხარდაჭერილი იქნა პროექტი და მისი შედეგები.




პროექტის დასკვნითი კონფერენცია ქ. ბურგასში, ბულგარეთი

# თავდასხმა სტამბულის აეროპორტზე




28 ივნისს ღამით თურქეთში მორიგი ტერაქტი მოხდა. ამჯერად სამიზნე სტამბულის ათათურქის სახელობის აეროპორტი გახდა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ-ერთმა მამაკაცმა, რომელიც თვითმფრინავისკენ მიემართებოდა, პოლიციის ყურადღება მიიპყრო. მას, სიცხის მიუხედავად, ქურთუკი ეცვა. პოლიციელის მოწოდებაზე შეჩერებულიყო, მამაკაცმა ცეცხლი გახსნა. შემდეგ აფეთქების ხმაც გაისმა.

ტერორისტი, რომელმაც თავი აიფეთქა, დაიღუპა. მეორე პოლიციასთან ბრძოლისას მოკლეს. მესამე თურქეთის პოლიციამ ცოცხლად აიყვანა. ტერაქტის შედეგად მსხვერპლი დიდია. ბოლო ინფორმაციით, დაღუპულია 41 ადამიანი, 239 დაიჭრა.

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა დაღუპულთა ოჯახებს თანაგრძნობა გამოუცხადა. მან აღნიშნა, რომ მომხდარი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ტერორისტებთან ლოიალობა არ შეიძლება.

– გპირდებით, რომ ტერორიზმთან ბრძოლას გავამკაცრებთ! ყველა, ვინც სტამბულის აეროპორტზე თავდასხმა განახორციელა, უსასტიკესად დაისჯება, – თქვა ერდოღანმა.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ სტამბულის ტერაქტს ამაზრზენი უწოდა. ობამამ ხაზი გაუსვა, რომ აშშ მზადაა თურქეთს მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინოს.

– ჩვენ თურქეთის გვერდით ვდგავართ! – თქვა ობამამ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა თურქეთს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

– გერმანია მზადაა თურქეთს ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს, – ამბობს შტაინმაიერი.

თურქი ძალოვნების აზრით, ტერაქტი ისლამურმა სახელმწიფომ მოაწყო, თუმცა არსებობს მოსაზრებაც, რომ ეს ქურთი მებრძოლების ნახელავია.

თურქეთის პრემიერმა ილდირიმმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აფეთქება ზუსტად იმ დღეს განხორციელდა, როცა ისლამური სახელმწიფო შეიქმნა.

– როგორც ჩანს, ექსტრემისტებმა ამ აფეთქებით დაბადების დღე აღნიშნეს, – თქვა ილდირიმმა.

თურქეთის პრემიერმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ როგორ შეძლეს ტერორისტებმა აეროპორტის ტერიტორიაზე იარაღით შეღწევა.

– ეს ჩვენი სპეცსამსახურების შეცდომაა, – თქვა მან.

# პუტინმა რუსებს თურქეთში ჩასვლის შეზღუდვა მოუხსნა

გუშინ, 29 ივნისს, თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა.

ისინი შეხვედრაზე შეთანხმდნენ. შესაბამისი ინფორმაცია თურქეთის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ორი ქვეყნის ლიდერი კონტაქტების გაგრძელებასა და პირად შეხვედრაზე შეთანხმდა.

განცხადების თანახმად, სატელეფონო საუბარში რუსეთის პრეზიდენტმა სტამბოლის ათათურქის აეროპორტში მომხდარი თავდასხმა დაგმო.

გუშინვე ვლადიმერ პუტინმა თურქეთში ჩასვლასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნის ბრძანება გასცა.

ეს საკითხი პუტინისა და ერდოღანის სატელეფონო საუბრის ერთ-ერთი თემა იყო.

პუტინმა განაცხადა, რომ სავაჭრო-ეკონომიკურ და სხვა სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობის აღსადგენად, რუსეთის მთავრობა შესაბამის თურქულ უწყებებთან მოლაპარაკებებს დაიწყებს.

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა 2015 წლის ნოემბერში მომხდარი ინციდენტის შემდეგ გაუარესდა, როდესაც თურქულმა ავიაციამ რუსული ბომბდამშენი სუ-24 ჩამოაგდო.

ანკარის მტკიცებით, თვითმფრინავი თურქეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრა, რასაც მოსკოვი კატეგორიულად უარყოფდა.






# ლონდონში ევროკავშირიდან გასვლის საწინააღმდეგო მიტინგი მოეწყო

ბრიტანეთის დედაქალაქში ევროკავშირიდან გასვლის საწინააღმდეგო მიტინგი ჩატარდა. მასში 2.000-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

მანიფესტანტები ტრაფალგარის მოედანზე შეიკრიბნენ და პარლამენტისკენ დაიძრნენ. ისინი სკანდირებდნენ: „არა ევროკავშირიდან გასვლას“ და ა.შ.

ბრიტანეთის პრემიერმა ქემერონმა განაცხადა, რომ ევროკავშირში დარჩენასთან დაკავშირებით განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარება გამორიცხულია.

# მერკელი: „რუსეთის მიმართ სანქციები გაგრძელდება“

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები გაგრძელდება. კანცლერმა ეს რუსების მიერ მინსკის შეთანხმებების ჩაგდებით ახსნა.

– მინსკის ხელშეკრულებები არ სრულდება და ეს რუსეთის გამო ხდება, – თქვა მერკელმა.

გერმანიის კანცლერმა ხაზი გაუსვა, რომ სანქციების გაგრძელება არ სურს, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. იტალიისა და საფრანგეთის წარმომადგენლები კი ამ საკითხის დეტალურ განხილვას მოითხოვენ.

სავარაუდოდ, ასეთი განხილვა უკვე მიმდინარე წლის ოქტომბერში მოხდება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*






# დადგინდა, რომელ ტურისტებს აქვთ ყველაზე მომხიბვლელი სხეული

ცნობილი გახდა იმ ტურისტების წარმომავლობა, რომლებსაც ყველაზე მომხიბვლელი სხეული აქვთ. ამ საკითხზე გამოკითხვა სერვისმა ექსპედიამ ჩაატარა.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით რესპონდენტების 24 პროცენტმა ჩათვალა, რომ პლაჟზე დასვენების მოყვარულთა შორის სილამაზით ყველაზე მეტად ევროპელები გამოირჩევიან. მეორე ადგილი წილად ხვდათ კარიბის რეგიონის წარმომადგენლებს (17 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილი ამერიკელებმა დაიკავეს (14 პროცენტი).

ასევე აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად დედიშობილა დასვენება ავსტრიელებს იზიდავთ. ავსტრიელი რესპონდენტების 28 პროცენტმა აღიარა, რომ საზოგადოებრივ პლაჟზე სრულიად შიშვლდებიან.

ამ მხრივ მეორე ადგილზე არიან გერმანელები (25 პროცენტი), მესამეზე ამერიკელები (18 პროცენტი), ხოლო ყველაზე მორიდებული დამსვენებლები აზიელები არიან.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**სიახლე!!! მშენებელთა და მეტალოპლასტმასის საამქროს მფლობელთა საყურადღებოდ!**

ლიცენზირებული ფირმა გთავაზობთ მეტალოპლასტმასის კარების ჩარჩოს ფუძის დაზიანებებისგან (მტვრევისგან) დამცავ მოთუთიებულ ლითონის გარსაცმს, რომელიც მარტივად მაგრდება ჩარჩოს ძირზე და იცავს მის პლასტმასის თხემს დ აბიჯებისას გარდაუვალი მსხვრევისგან.

1 ცალი (1-მეტრიანი) გარსაცმის ფასი – 12 ლარი, პარტიაში (50 ცალი და მეტი) – 10 ლარი.

**ტელ: 599-94-51-82**

**(ის.ნიმუში გურამიშვილის 33, მ/პლასტმასის საამქრო).**

## განცხადებები

● ფირმა გთავაზობთ რემონტში მოქცეულ და დაზიანებულ მეტალოპლასტმასის ჩარჩოს ძირზე ლითონის გარსაცმის გადაკვრას, ჩარჩოს ბეტონიდან ამოუღებლად, მინიმალურ ფასად. ტელ: 599-94-51-82.

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ქართული კლუბები ევროსეზონს იწყებენ

დღეს ქართული გუნდებისთვის ცხელი ზაფხული იწყება – გორის დილა, სამტრედია და საჩხერის ჩიხურა ევროტურნირებში ჩაებმებიან.

ქართულ გუნდებს რეიტინგში არცთუ კარგად აქვს საქმე და ამ სამეულიდან განთესილი მხოლოდ დილა იყო. აქედან გამომდინარე გუნდებიც ისეთები შეხვდათ, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები გარანტირებული არ არის.

არადა, რეიტინგში ბოლო 5 წლის მონაცემები ითვლება და ჩვენ კლუბებს ახალ სეზონში ბლომად ქულების აკრეფა მართებთ, რადგან ყველაზე კარგი სეზონი სწორედ 5 წლის წინ, 2011 წელს ჰქონდათ და გაისიდან ის მონაგარი დააკლდებათ. ვნახოთ, რა გამოუვათ...

დილას მეტოქე სომხური შირაქია. გიუმრელებმა თავიანთ ჩემპიონატში მე-2 ადგილი დაიკავეს და ჩემპიონს მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩნენ. თავად დილა მე-3 ადგილზე გავიდა ეროვნულ ჩემპიონატში, მაგრამ ერთი თვის წინ დამთავრებული ჩემპიონატის შემდეგ გუნდში ბევრი რამ შეიცვალა და რამდენიმე ლიდერმა დატოვა: ოთარ მარცვალაძე, გუგა ფალავანდიშვილი, გიორგი ნავალოვსკი სხვა კლუბებში გააგრძელებენ კარიერას.

და მაინც, გორელთა მთავარ მწვრთნელ უჩა სოსიაშვილს შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი აქვს:

– დილა ყველაფერს გაიღებს და გააკეთებს, რომ წარმატებით ითამაშოს და ეს ეტაპი გადალახოს. ჩვენი მეტოქის შესახებ ინფორმაციას ვფლობთ. მას შარშან ამხანაგურად ვეთამაშეთ, ახლაც, 23-ში უნდა გვეთამაშა, მაგრამ წილისყრის შემდეგ გავაუქმეთ.

დილამ შეკრება ადგილზე გაიარა და რამდენიმე საკონტროლო მატჩის გამართვა მოასწრო. გორელები 0:2 დამარცხდნენ აზერბაიჯანულ გაბალასთან, ხოლო ვიტ ჯორჯიას ერთხელ მოუგეს (1:0) და ერთხელაც ფრეს (1:1) დასჯერდნენ.

გორელები განმეორებით მატჩს ერთი კვირის შემდეგ, 7 ივლისს სტუმრად ითამაშებენ.

---

სამტრედია სტუმრად ითამაშებს გაბალასთან, რომელიც ქართველების კარგად და მწარედ ნაცნობი გუნდია. გასულ სეზონში გაბალამ ევროპალიგის ჯგუფური ეტაპი ითამაშა და გზა თბილისის დინამოს ძლევით დაიწყო.



აზერბაიჯანელებმა ბოლო დღეებშიც ითამაშეს ქართულ კლუბებთან. გაბალამ მოსამზადებელი ეტაპი ჩვენს ქვეყანაში გაიარა და 3 მატჩი გამართა. დილას 2:0 მოუგო, ხოლო ბოლნისის სიონს – 4:0. თუმცა, ამ გუნდების კიდევ ერთი შეხვედრა 1:1 დასრულდა.

მოსამზადებელ ეტაპზე მშვენივრად გამოიყურებოდნენ სამტრედიელები: გია ცეცაძის გუნდმა 4:0 მოუგო ალბანურ კუკეშს, ხოლო 5:1 რუმინულ დინამოს. ორივე მატჩში დუბლით გამოირჩა ბაჩანა არაბული, რომელიც სამტრედიაში თბილისის დინამოდან არის განათხოვრებით.

განმეორებითი მატჩი 7 ივლისს ზესტაფონის „დავით აბაშიძეზე“ გაიმართება.

---

საჩხერის ჩიხურა მოლდავურ ზიმბრუს შეხვდება. როგორც ჩიხურას პრესსამსახური იტყობინება, საჩხერელები ოპტიმალური შემადგენლობით ემზადებიან მომავალი მატჩისთვის.

ჩიხურამ მოლდოველებამდე შეკრება გაიარა და რამდენიმე ტესტ-მატჩიც გამართა. საჩხერელებმა ჯერ უნგრული ვიდეოტონი დაამარცხეს – 1:0. გოლი თორნიკე მუმლაძემ გაიტანა. შემდეგ ასევე უნგრულ მტკ-სთან 1:3 დამარცხდა. თავი დიმიტრი ტატანაშვილმა გამოიჩინა. საჩხერელთა მორიგი მეტოქე სლოვენიური მარიბორი იყო. უხვგოლიანი შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. ჩიხურას შემადგენლობაში თავი დუბლით საბა ლობჟანიძემ გამოიჩინა.

განმეორებითი შეხვედრა 5 ივლისს ასევე ზესტაფონში, „დავით აბაშიძეზე“ გაიმართება.

# ბექა ბურჯანაძე გიორგი შერმადინს ანდორაში შეუერთდა




საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი, ბექა ბურჯანაძე ესპანეთის უმაღლეს ლიგაში გადავიდა და კარიერას მორაბანკ ანდორაში გააგრძელებს, სადაც ჩვენი ნაკრების კიდევ ერთი წევრი, გიორგი შერმადინი ირიცხება. ბურჯანაძემ ანდორელებთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ბურჯანაძე ესპანეთის უმაღლეს ლიგაში ადრეც თამაშობდა, თუმცა შედარებით გამოუცდელსა და ახალგაზრდას კახასოლის შემადგენლობაში დიდი სათამაშო დრო არ ეძლეოდა. 2014-15 წლების შუა სეზონში ის ესპანეთის რანგით მეორე ლიგაში გადავიდა და ლაკორუნიულ კორუნა ბასკეტში მეტი სათამაშო დრო და გუნდის ლიდერის სტატუსი მიიღო.

მისი მაჩვენებლები გასულ სეზონში მატჩში საშუალოდ 16.4 ქულას და 6.9 მოხსნას შეადგენდა. ბურჯანაძე არაერთხელ დასახელდა ტურის საუკეთესო მოთამაშედ და მოხვდა სიმბოლურ ხუთეულში. კორუნა ბასკეტი პირველი ლიგის პლეი ოფში გავიდა, სადაც ნახევარფინალურ სერიაში მელილასთან 2:3 დამარცხდა.

ბურჯანაძის ტრანსფერთან დაკავშირებით ანდორელთა სპორტულმა დირექტორმა ფრანსესკ სოლანამ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

– ბურჯანაძე სწრაფად პროგრესირებადი მოთამაშეა და ვფიქრობ, ის დიდ სარგებელს მოგვიტანს. ბექა უნივერსალური კალათბურთელია და სამქულიანებსაც კარგად ესვრის.

ანდორულ კლუბში მისვლამდე, ბურჯანაძე საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში იასპარეზებს.

## შედეგები

**28 ივნისი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ფლორა-ლინკოლნი | 2:1 |
| ვალეტა-ტორშავნი | 1:0 |
| სანტა კოლომა-ალაშკერტი | 0:0 |
| ტნს-ტრე პენე | 2:1 |

**უეფას ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| კაპაზი-დაჩია | 0:0 |
| პარტიზანი-სლოვანი | 0:0 |
| რაბოტნიჩკი-ბუდუჩნოსტი | 1:1 |
| სტ.პატრიკი-ჟენესი | 1:0 |

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| მიულერი-ხირალდო | 4:6,6:7,7:6,6:3,15:13 |
| ნოვიკოვი-სავილი | 4:6,6:4,7:5,6:4 |
| სოუზა-ტურსუნოვი | 3:6,7:6,4:6,6:3,7:5 |
| ბეკერი-ბანისი | 6:3,6:3,6:1 |
| ბაუტისტა აგუტა-ტომპსონი | 6:3,6:3,6:3 |
| კუკუშკინი-კლიჟანი | 7:6,7:6,6:4 |
| დელ პოტრო-რობერი | 6:1,7:5,6:0 |
| ვავრინკა-ფრიტცი | 7:6,6:1,6:7,6:4 |
| გასკე -ბედენე | 6:3,6:4,6:3 |
| გრანოლერსი-ესტრელია | 6:2,6:4,2:6,6:4 |
| რამოს ვინოლასი-პოსპიშილი | 6:4,3:6,6:3,6:4 |
| ტროიცკი-ლამასენი | 6:4,6:2,6:2 |
| მონაკო-დანიელი | 7:5,4:6,6:3,6:2 |
| ცონგა-სერვანტესი | 6:4,7:6(5),6:4 |
| კირგიოსი-შტეპანეკი | 6:4,6:3,6:7,6:1 |
| ბრაუნი-ლაიოვიჩი | 4:6,6:3,3:6,6:3,6:4 |
| ფ.ლოპესი-რამი | 7:6,6:4,6:4 |
| პერი-სკოგური | 3:6,7:6,2:6,6:3,10:8 |
| მილმენი-მონტანიესი | 7:5,4:6,5:7,6:4,6:3 |
| ლუ-კუდრიავცევი | 6:4,6:1,6:4 |
| მარეი-ბროუდი | 6:2,6:3,6:4 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ს.უილიამსი-სადიკოვიჩი | 6:2,6:4 |
| მაკჰეილი-ჰანტუხოვა | 7:5,6:2 |
| მური-ვან უიტვანკი | 6:3,6:2 |
| კუზნეცოვა-ვოზნიაცკი | 7:5,6:4 |
| პუტინცევა-მელნიკოვა | 7:5,6:2 |
| ვანდევეგე-ბონდარენკო | 6:2,7:6 |
| ბაბოში-სვანი | 6:2,6:3 |
| დუანი-კ.პლიშკოვა | 6:3,3:6,7:5 |
| ვინჩი-რისკე | 6:2,5:7,6:3 |
| სინიაკოვა-პარმენტიე | 6:3,7:5 |
| გარსია-ბუიუქაქჩაი | 6:2,6:3 |
| ციბულკოვა-ლუჩიჩი | 7:5,6:3 |
| გავრილოვა-ვანგი | 2:6,6:3,6:4 |
| ვესნინა-პაჩეკი | 7:5,6:2 |

# ფეხბურთის ფედერაციის დავალიანება 17 მილიონს აღწევს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 26-ე ყრილობა სასტუმრო ჰუალინგის ცენტრალურ დარბაზში შედგა, რომელიც ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანოს პარტნიორი გახდა.



ლევან კობიაშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ლეგენდარული ფეხბურთელები – სლავა მეტრეველი და დავით ყიფიანი გაიხსენა. ყრილობის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს იმ ადამიანთა ხსოვნას, რომლებიც წინა ყრილობიდან დღემდე გამოაკლდნენ საფეხბურთო სამყაროს.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ გაჟღერდა აუდიტის დასკვნა. როგორც სფფ-ის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა განაცხადა, ფედერაციის დავალიანებამ 16.785.600 ლარი შეადგინა. აქედან, კონკრეტულად ვალი 11.785.000 ლარია, ხოლო 5.000.600 ლარი წინასწარ არის გახარჯული.

დავით მუჯირი:

– ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ზემდგომ საფეხბურთო ორგანოებთან, რათა თავიდან ავირიდოთ შესაძლო სანქციები და მოხდეს ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია.

სფფ-ს პრეზიდენტ ლევან კობიაშვილის მოხსენების ერთ-ერთი თემა იყო ჩემპიონატის ახალი ფორმატი. მან წარმატებები უსურვა მათ, ვინც აგვისტოში საქართველოს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩაებმება და ასევე თითოეულ იმ კლუბს, რომელიც სხვადასხვა ლიგაში ასპარეზობს და შესაბამისი მიზნებისთვის იბრძოლებს.

ლევან კობიაშვილი ქვეყანაში ქალთა ფეხბურთის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამ მიმართულების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ქალთა ფეხბურთის რეგულარული ჩემპიონატის ჩატარება, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 2016 წლის 26 აპრილს დაიწყო.

ყრილობაზე კენჭი უყარეს ფეხბურთის ფედერაციის 5 სუბიექტს. ღია კენჭისყრით გადაწყდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წევრები აღარ იქნებიან: საფეხბურთო სკოლების ასოციაცია, საქართველოს ინვალიდ-ამპუტანტთა ლიგა, საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაცია, საქართველოს ბიჩ სოკერის ასოციაცია და საფეხბურთო კლუბი რუსთავის მეტალურგი.

კობიაშვილმა განმარტა, რომ ეს სუბიექტები ფედერაციის წევრობისთვის საჭირო სამუშაოს შესაბამის ნორმებში არ ასრულებდნენ.

ყრილობაზე ქართული ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა 7 ადამიანი. წელს პრეზიდენტისგან ჯილდო მიიღეს ტარიელ ხეჩიკაშვილმა, რომან ფიფიამ, ბესიკ ჩიხრაძემ, გურამ რუხაძემ, ილია კოკაიამ, ფრიდონ ინჯიამ და ლექსო თოფურიამ.

ყრილობას ვერ ესწრებოდნენ კოკაია, რუხაძე და თოფურია, ამიტომაც მათ პირადად კობიაშვილი გაუგზავნის ჯილდოს.

# რეკორდცვენა თბილისში



თბილისში მიმდინარე ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე რეკორდცვენა გრძელდება. ჯერჯერობით რეკორდები მხოლოდ 18 წლამდელთა შორის მყარდება, იმედი დავიტოვოთ, რომ ტურნირის დასკვნით დღეებში უკვე ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის რეკორდების მომსწრენიც გავხდებით.

შეგახსენებთ, ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე 21 წლამდე ასაკის სპორტსმენები გამოდიან. 27 ივნისს 18 წლამდელებისთვის ორი რეკორდი ამერიკელმა კამინგსმა დაამყარა, 28 ივნისს კი ჯერი 17 წლის კოლუმბიელ იეისონ ლოპეს ლოპესზე მიდგა, რომელმაც ატაცში სომეხი ანდრანიკ კარაპეტიანის რეკორდი (155 კგ), მოხსნა, ხოლო აკვრასა და ჯამში საკუთარი რეკორდები გააუმჯობესა (186 კგ, 334 კგ).

77 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში 17 წლის კოლუმბიელი თავიდანვე მოიაზრებოდა ფავორიტად. აკვრაში მას მცირედი კონკურენცია თანამემამულე, რაიან სანტიაგო როდალეგას კარვახალმა და რუსმა ვიაჩესლავ იარიკინმა გაუწიეს.

ლოპეს ლოპესმა მესამე ცდაზე 156 კილოგრამი აიტაცა კარაპეტიანის რეკორდი გააუმჯობესა და როცა დარბაზში ტაში დაუკრეს, ჟესტით გულშემატკივარი შეაჩერა, ეს ჯერ მაქსიმუმი არ არისო. ატაცში მეორე ადგილზე იარიკინი გავიდა (153 კგ), მესამეზე კი კარვახალი (151 კგ).

გულშემატკივარს მთავარი შოუ აკვრაში ელოდა. ლოპეს ლოპესი მხოლოდ მაშინ გამოვიდა ფიცარნაგზე, როდესაც დანარჩენებს ასპარეზობა უკვე დასრულებული ჰქონდათ.

საწყის წონად მან 185 კგ შეუკვეთა ეს წონა მარტივად დაძლია და 190 კილოგრამს შეუტია საკუთარი რეკორდების გასაუმჯობესებლად. კოლუმბიელი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, შტანგა იოლად აკრა და მხოლოდ ამის შემდეგ მისცა ემოციებს დაღვრის საშუალება – არც შტანგის კოცნა დავიწყნია, არც ფიცარნაგის და საკუთარი ტრიუმფიც ხტუნვა ხტუნვით აღნიშნა. მეორე ადგილზე იარიკინი გავიდა, მესამეზე კი კარვახალი.

ვაჟებში კონკურენციაში საქართველოს ნაკრების წევრი ნოდარ კაკაბაძეც ჩაერთო, რომელიც ც ჯგუფში გამოვიდა და ორჭიდის ჯამში დაგროვებული 286 კილოგრამით (133 ატაცში, 153 აკვრაში) მე-17 ადგილი დაიკავა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# პრემია „საბას“ წლევანდელი ფინალისტები გამოცხადდა

## ყველაზე დიდი საკონკურსო სიიდან – ყველაზე მოკლე ფინალისტების სიამდე

თბილისი, 29 ივნისი, 2016 – ლიტერატურული პრემია „საბას“ ჟიურიმ წლევანდელი კონკურსის ფინალისტები დაასახელა. 360 კონკურსანტიდან, რაც „საბას“ არსებობის მანძილზე უპრეცედენტოდ დიდი საკონკურსო სია იყო, ჟიურიმ ფინალურ ეტაპზე 38 წიგნი შეარჩია. ეს არის ფინალისტების ყველაზე მოკლე სია ბოლო წლების განმავლობაში.

ამით დასრულდა ჟიურის მუშაობის პირველი, 5-თვიანი ეტაპი. ფინალისტებიდან მოხდება წლევანდელი გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება სექტემბერში, „საბას“ რიგით მე-14 საზეიმო დაჯილდოებაზე. საპრემიო ფონდი 52 ათას ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს „საბას“ კონკურსის დამფუძნებელი და ორგანიზატორი, თიბისი ბანკი გადასცემს.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს დააფუძნა თიბისი ბანკმა და პენ-ცენტრმა. პრემიის მიზანია გასული ერთი წლის (ამ შემთხვევაში, 2015 წლის) განმავლობაში გამოცემული საუკეთესო წიგნების გამოვლენა.

წელს „საბა“ 11 ნომინაციაში გაიცემა, მათ შორის, ახალი ნომინაციაში „საუკეთესო ელექტრონული წიგნი“. გარდა ამისა, ნომინაციაში „საუკეთესო დებიუტი“ წელს მკითხველებიც ჩაერთვებიან და საკუთარ ფავორიტს გამოავლენენ – 4 ივლისიდან მკითხველები თავისი რჩეული დებიუტანტებისთვის ხმის მიცემას 2 თვის განმავლობაში შეძლებენ „საბას“ ვებგვერდსა და ფბ გვერდზე.




**წლევანდელი ფინალისტების სია ასეთია:**

**საუკეთესო რომანი:**

- თამთა მელაშვილი, „აღმოსავლეთით“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
- ზურაბ სამადაშვილი, „მოსალოდნელი მოულოდნელობანი“ (გლოსა)
- დათო ტურაშვილი, „სხვა ამსტერდამი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
- ბექა ქურხული, „სამოთხიდან გაქცეულები“ (ინტელექტი)

**საუკეთესო პროზაული კრებული:**

- ნინო თარხნიშვილი, „ნინო's Notes“ (ინტელექტი)
- ზაალ სამადაშვილი, „იუნკერ ერისთავის ბუცები“ (ინტელექტი)
- დათო ქარდავა, „ესავის ხელები“ (ინტელექტი)

**საუკეთესო პოეტური კრებული:**

- შოთა იათაშვილი, „პოეტური გამოცდილების სიმწარე“ (ინტელექტი)
- პაატა ნაცვლიშვილი, „ხელოვნური ყვავილები“ (უსტარი)
- ზვიად რატიანი, „შენთვის შეიძლება“ (დიოგენე)
- ბესიკ ხარანაული, „ყვავი ხის წვერზე ისაღამოებს“ (ინტელექტი)

(პოეტმა გივი ალხაზიშვილმა თავისი კრებული „ჩემი დღეების მიწა“ მოხსნა კონკურსიდან)

**საუკეთესო დებიუტი:**

- იუნონა გურული, „დიაგნოზი“ ( საუნჯე)
- ნანა ექვთიმიშვილი, „მსხლების მინდორი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
- სალომე მაკარიძე, „ჩვენ“ (სიესტა)

**საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა:**

- შოთა გუჯაბიძე, „ბათომი“ (გაზეთი „ბათუმელები“)
- გიორგი კეკელიძე, „ცხრათავიანი ფეხბურთის ზღაპარი“ (არტანუჯი)
- შორენა ლებანიძე, „ მანანა ანუა – ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“ (არტანუჯი)
- გაგა ნახუცრიშვილი, „სისულელის ტრაქტატი“ (ინტელექტი)
- ზაზა ფირალიშვილი, „ირაკლი ფარჯიანი და შეხვედრის მეტაფიზიკა“ (არტანუჯი)
- ნინო ჩხიკვიშვილი, „უკანასკნელი ცისფერყანწელი“ (არტანუჯი)

**საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა:**

- ლექსო დორეული, „წერის თავგადასავალი“ (კალმოსანი)
- თამაზ ვასაძე, „20 ქართული მოთხრობა“ (ინტელექტი)
- თემურ კობახიძე, „ტომას ელიოტი და მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა“ (უნივერსალი)

**საუკეთესო პიესა:**

ამ ნომინაციაში ჟიურიმ ვერ შეძლო ფინალისტების შერჩევა. ეს ნიშნავს, რომ წელს საუკეთესო პიესისთვის „საბა“ არ გაიცემა. ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც პიესის ნომინაციაში ჟიური პრემიას არ გასცემს.

„საბას“ საორგანიზაციო ჯგუფი მიიჩნევს, რომ ასეთი პრეცედენტები გარკვეულწილად ქმნის დრამატურგიის ჟანრის დისკრიმინაციის საფრთხეს, მაგრამ, ამავდროულად, „საბა“ პატივს სცემს და იცავს კონკურსის ჟიურის დამოუკიდებლობას ნებისმიერ გადაწყვეტილებაში, მათ შორის – ამა თუ იმ ნომინაციაში პრემიის არგაცემის საკითხში.

შესაბამისად, წელს პიესის ნომინაცაში ფინალისტების არდასახელებაც არის კონკრეტულად წლევანდელი ჟიურის გადაწყვეტილება, რომელიც განსხვავდება „საბას“ პოზიციისგან, რომ სწორედ პრემიის გაცემით მოხდეს ამ ჟანრის წახალისება.

**საუკეთესო ელექტრონული წიგნი:**

- გოჩა სხილაძე, „უნაპირო მდინარე“ (ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“)
- ოთარ ჯირკვალიშვილი, „ლაზარე“(ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“)
- გიორგი ლორთქიფანიძე, „სია“(ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“)
- ხათუნა ხაბულიანი, „პუბლიკაციები“(ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“)

**საუკეთესო თარგმანი:**

- მიხეილ ანთაძე, ჟოზე სარამაგუს „იესოს სახარება“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
- მაია ბადრიძე, ჰერმან ბროხის „მთვარეულები“ (დიოგენე)
- ლევან ბერძენიშვილი, ჰომეროსის „ილიადა“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
- ნანა გოგოლაშვილი, ტიმურ ვერმესის „ის კვლავ აქ არის“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
- გიორგი კახაბერი, ნატო კახაბერი, მარსელ პრუსტის „სოდომი და გომორი“ (არტანუჯი)
- ანი კოპალიანი, მარგარეტ ეტვუდის „მხევლის წიგნი“ (წიგნები ბათუმში)
- ქეთი ნიჟარაძე, ედგარ ლი მასტერსის „რჩეული ეპიტაფიები სფუნ რივერის ანთოლოგიიდან“ (ინტელექტი)
- ნინო ქაჯაია, ხორხე ლუის ბორხესის „შვიდი საღამო“ (ინტელექტი)
- ზაზა ჭილაძე, უილიამ ფოლკნერის „გვამის შემგინებელი“ (არტანუჯი)
- თამარ ჯაფარიძე, ჯონ ფაულზის „ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი“ (დიოგენე)
- გვანცა ჯობავა, ჯონ სტაინბეკის „თაგვებსა და ადამიანებზე“ (არტანუჯი)



ჩვენს საყვარელ
ოთარ ნინიაშვილს
ვულოცავთ იუბილეს!
დღეგრძელი, ჯანმრთელი,
წარმატებული და ბედნიერი იყავი.
გფარავდეს უფალი შენს
ოჯახთან ერთად.
*სიყვარულით „ახალი თაობა“*



# ჩინელმა სიყვარულისთვის 222 კილომეტრი გაირბინა



ჩინეთში 30 წლის მამაკაცმა პეკინის ავტოსტრადაზე 222 კილომეტრი 45 საათში სიყვარულისთვის გაირბინა.

ჩინელმა საკუთარ მარათონს უწოდა „რწმენისა და მისთვის“. გარბენის შემდეგ მან ადგილობრივ რეპორტიორებს განუცხადა, რომ ამჟამად ის „მარტოა“ და იმედი აქვს, რომ ამის შემდეგ იპოვის თავის სიყვარულს.

გარბენის დაწყებამდე მამაკაცმა სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე დაწერა:

– გააკეთეთ ის, რაც გიყვართ და შეხვდებით იმას, ვისაც შეიყვარებთ.

მთელი გარბენის მანძილზე, მამაკაცმა საერთო ჯამში დასვენებას სამი საათი დაუთმო. გარბენის დროს კი მას მხარდაჭერის გამოსახატავად რამდენიმე სპორტსმენი შეუერთდა.

ალსანიშნავია, რომ მამაკაცი ამტანობის განსავითარებლად მთაგორიან მარშრუტებზე მოგზაურობდა. მიუხედავად ამისა, მან მაინც ვერ მოახერხა იმ პირველი ადამიანის შედეგის გაუმჯობესება, რომელმაც ეს მარშრუტი მასზე ერთი საათით სწრაფად გაირბინა. ჩინელის თქმით, მას ამის გაკეთება არც ჰქონია მიზნად დასახული, ვინაიდან მან საკუთარ თავს ესროლა გამოწვევა და ვინმესთვის კონკურენციაზე არც უფიქრია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი
## 30 ივნისისთვის



**ვერძი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კურო** – ფინანსური მდგომარეობა კვლავ გიუმჯობესდებათ. ამის მიუხედავად, ნუ გარისკავთ. თუ თქვენი სამუშაო არ მოგწონთ, მის შეცვლას ნუ იჩქარებთ. **ტყუპები** – ახალი საქმეები შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ, მაგრამ რისკი გაუმართლებელია. თავქარიანობა არ გამოგადგებათ. **კირჩხიბი** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ლომი** – ნუ იაქტიურებთ. იზრუნეთ სულიერებაზე. ამაო დაპირებები არ გასცეთ. შემოქმედებითი დღეა. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. ენერგია დაზოგეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ცდუნებას ნუ აჰყვებით. **სასწორი** – გეგმების რეალიზებას იოლად ახერხებთ. თუ დაგჭირდათ, მეგობრები დაიხმარეთ. ისინი ამას სიამოვნებით გააკეთებენ. **ღრიანკალი** – არაკეთილისმყოფელი, მძიმე დღეა. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საღამო ბუნებაში გაატარეთ. **მშვილდოსანი** – კარგი დღეა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნაცნობობის წრის გაფართოება თქვენი წარმატების საწინდარია. **თხის რქა** – სამსახურში უფროსობა თქვენით კმაყოფილია. გელით კარიერული წინსვლა და სხვა სასიამოვნო სიახლეები. ეს განსაკუთრებით შემოქმედ ადამიანებს ეხება. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. სულიერ წონასწორობას უსიამოვნო ინფორმაცია დაგირღვევთ. თუმცა ეს მოდუნების საშუალებას არ მოგცემთ. სიტუაციას თამამი და გონივრული გადაწყვეტილების მეშვეობით გამოასწორებთ. **თევზები** – იყავით ჰუმანური, დამთმობი, მიმტევებელი. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. გაიკეთეთ წყლის პროცედურები.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ნეიტრონის აღმომჩენი ინგლისელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ძვირფასი ქვა, ლურჯი ფერის იაგუნდი; 3. საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე მომუშავე თანამდებობის პირი; 4. ძვირფასბეწვიან ცხოველებზე მონადირე პროფესიონალი, ჩრდილო ამერიკაში; 5. ფინელი ბარონი, მარშალი, ეროვნული გმირი; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ტბა ჯავახეთში; 12. ქერის პური; 13. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 16. აცტეკების ლეგენდარული ბელადი; 17. იაპონიის ჰიმნი; 19. სოფოკლეს ტრაგედია; 21. ქვეწარმავლის შხამი; 23. კუთხე საქართველოში.

**თარაზულად:** 6. რაიმეს თანდათანობით გაუარესება, დაქვეითება; 7. უარყოფითი მსჯელობა რაიმეს შესახებ, ნაკლოვანებაზე მითითება; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მკვლელობის საქმეთა გამომძიებელი აშშ-ში; 14. პოპულარობის მაჩვენებელი; 15. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 20. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 22. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. შემაგრებული ესპანური ღვინო; 25. ქართული დელიკატესი, თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 26. ფრანგული საიუველირო ფირმა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰამამი; 2. ოქსინო; 3. მარჟა; 5. კატა; 6. ნუნისი; 8. კენკრა; 11. ტარანტინო; 13. საააკაძე; 14. ბულიონი; 15. ვივიენი; 19. ტიკი.

**თარაზულად:** 1. ჰიპოპოტამი; 4. გირკანი; 7. მარკესი; 9. ჟაკერია; 10. ატენი; 12. აშკენაზი; 16. ბარიტონი; 17. ზარნაშო; 18. სიკოფანტი; 20. ნიუტონი; 21. „ლეგო“; 22. ცელსიუსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ისტვუდი; 2. ჩოქბჯენი; 3. ფილატელია; 4. ამირანი; 5. გინეკოლოგი; 10. შეკელი; 11. ჰამბურგი; 12. „სალხინო“; 13. პრომილე; 16. ბალისტიკა; 17. სხვიტორი; 19. ესტანსია; 21. ფლუსი; 23. ფოგტი.

**თარაზულად:** 6. ქსენოფობია; 7. ამტყელი; 8. დურუჯი; 9. სტენდალი; 14. ღრმაღელე; 15. „მილენიუმი“; 18. მეგრე; 20. თხუნელა; 22. ნეფრიტი; 24. „ალმაზა“; 25. ვილნიუსი; 26. სეტერი.

## კალეიდოსკოპი

# წელს პირველად პანდამ ტყუპები გააჩინა



მიმდინარე წელს პირველად ჩინეთში პანდამ სხვადასხვა სქესის ტყუპი ბელები გააჩინა. ამის თაობაზე განცხადება გაკეთდა ქალაქ ჩენდუში მდებარე პანდების გამრავლებისა და კვლევის ცენტრში. მდედრმა პანდა სინიამ უპრობლემოდ დაბადა ორი ბელი.

პირველად დაიბადა მამრი ბელი. მისი წონა 170 გრამია, ხოლო მის შემდეგ დაბადებული მდედრის წონა 161 გრამს შეადგენს. ყველა მონაცემის მიხედვით, დედა პანდისა და ბელების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ეს პირველი შემთხვევაა მსოფლიოში, რომ პანდამ განსხვავებული სქესის ბელები გააჩინა.

# დანიის ტყეებში ცხენირემი გამოჩნდება



პირველად 5 ათასი წლის მანძილზე დანიის ტყეებში ცხენირმები თავისუფლად იცხოვრებენ.

ხუთი ახალგაზრდა ცხენირემი შვედეთიდან დანიაში გასული წლის ნოემბერში ჩაიყვანეს, რის შემდეგაც ისინი ჩრდილო-აღმოსავლეთ იუტლანდიაში დახურულ შენობაში ცხოვრობდნენ. შვიდი თვის შემდეგ ქალაქ ოლბორგის ჩინოსნები ვოლიერის კარს გააღებენ და ცხოველებს ბუნებაში გაუშვებენ, სადაც ისინი 21 კვადრატული კილომეტრის ფართობზე თავისუფლად გადაადგილებას შეძლებენ.

– მართალია, ჩვენთვის უცნობია, როგორი რეაგირება ექნებათ ცხენირმებს დიდ ტერიტორიაზე საცხოვრებლად გადასვლაზე, მაგრამ მოხარული ვარ, რომ დღეს, ბოლოს და ბოლოს, ამ ცხოველებს თავისუფლად მოსეირნეებს ვიხილავთ, – განაცხადა ერთ-ერთმა ჩინოსანმა.

პარკში დამთვალიერებლებს შესაძლებლობა მიეცემათ, საკუთარი ავტომობილებით გადაადგილდნენ მის ტერიტორიაზე და ცხოველების ცქერით დატკბნენ, თუმცა ამავე დროს მათ ურჩევენ, რომ მანქანებიდან არ გადმოვიდნენ, რათა ცხოველები არ დააფრთხონ.

# მოღუშულსახიან კატას ახალი პატრონი ჰყავს



აშშ-ში მობინადრე მოღუშულსახიან კატაზე შთაბეჭდილება ვერც მისმა ახალმა პატრონებმა მოახდინეს, თუმცა მისი სახით, რაც არ უნდა გახარებული იყოს, მაინც ვერ გამოხატავს სიხარულსა და აღფრთოვანებას.

კატა ფლორიდაში მიტოვებულ სახლში ცხოვრობდა, მას არ ჰქონდა არც საჭმელი, არც წყალი. იქ ერთხელ ორმა ინსპექტორმა შეიხედა და მშიერი კატა შესაბრალისი კნავილით შეხვდა.

თავდაპირველად მათ ცხოველის მანგოთი დანაყრება სცადეს, შემდეგ ერთ-ერთმა ინსპექტორმა გადაწყვიტა, კატა თავისთან წაეყვანა და მას გარფილდი დაარქვა, თუმცა კატას სახეზე ამ მოვლენის გამო სიხარული არ გამოხატვია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

კიდევ ერთი დიდი ქართველი გამოაკლდა ქართველ მეცნიერთა სახელოვან კოჰორტას. გარდაიცვალა

**ზაურ მიტროფანეს ძე კვარაცხელია**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორი.

ვტირი და ვერაფერს გშველი, ჩემო ზაურ.

დიდი მწუხარებით, ნოდარ ხასაია ოჯახით

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნიკოლოზ ჩოხელის დასახმარებლად საქველმოქმედო სპექტაკლი გაიმართება



მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის შვილის, ნიკოლოზ ჩოხელის დასახმარებლად საქველმოქმედო სპექტაკლი გაიმართება. 28 წლის ნიკოლოზი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად საწოლს არის მიჯაჭვული და მას მკურნალობა ესაჭიროება, რომელიც 50.000 ევრო ღირს.

გოდერძი ჩოხელის შვილის დასახმარებლად გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის თეატრი საქველმოქმედო სპექტაკლს ითამაშებს.

9 ივლისს მსახიობები მაყურებლებისთვის წარმოადგენენ რეჟისორ თამარ ხიზანიშვილის მიერ გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებზე დადგმულ სპექტაკლს „ადამიანთა სევდა“.

სპექტაკლზე დასასწრები ბილეთები 5 ლარად გაიყიდება. შემოსული თანხა კი ნიკოლოზ ჩოხელის დასახმარებლად მის ანგარიშზე ჩაირიცხება.




# ბოლივუდი საქართველოში ახალ ფილმს იღებს

ბოლივუდი საქართველოში ახალ ფილმს იღებს. „ავტომობილი“ – ასე ეწოდება მასშტაბურ კინოპროექტს, რომლის რეჟისორებიც ბოლივუდში ცნობილი რეჟისორები, ძმები აბას და მუსტან ბურმავალები არიან.

უკვე ერთი თვეა გადაღებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარეობს. პროექტი საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პროექტის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში ხორციელდება.

ფილმში მთავარ როლებს ბოლივუდის ცნობილი მსახიობები ქიარა ადვანი და მუსტაფა ბურმავალი ასრულებენ. როგორც ინდური ფილმების უმრავლესობაში, აქაც მთავარი თემა სიყვარულია.

ბოლივუდის ახალი ფილმის გადაღებები საქართველოში 65 დღე გაგრძელდება და შემოქმედებითი ჯგუფი თითქმის ყველა მხარეს ეწვევა. რეჟისორების გადაწყვეტილებით, „ავტომობილს“ ბორჯომში, კახეთში, მარტვილში, ვარძიაში, ბაზალეთსა და აჭარაში გადაიღებენ.



# ნინო მაჩაიძე არენა დი ვერონაზე იმღერებს

ქართველი სოპრანო ნინო მაჩაიძე, რომელიც თავისი ნიჭიერებით მთელმა მსოფლიომ გაიცნო, არენა დი ვერონაზე გამართულ საოპერო მუსიკის ფესტივალზე შეკრებილი მსმენელისთვის პრემიერას იმღერებს.

იტალიაში გამართულ ფესტივალზე მსოფლიოში ცნობილი ქართველი მომღერალი მთელ საოპერო სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე რთულ პარტიას შეასრულებს. ნინო მაჩაიძე ჯუზეპე ვერდის „ტრავიატაში“ მთავარ, ვიოლეტას პარტიას იმღერებს.

„ტრავიატას“ პრემიერა არენა დი ვერონაზე 2 ივლისს გაიმართება. ნინო მაჩაიძე ვიოლეტას პირველ ოთხ სპექტაკლზე შეასრულებს. მასთან ერთად, „ტრავიატაში“ კიდევ ერთი ქართველი საოპერო მომღერალი, სოპრანო თეონა დვალი მონაწილეობს.

# ბექა გოჩიაშვილს დათუნა ლაზარიშვილი ამერიკაში მიჰყავს




მას შემდეგ, რაც „იქს ფაქტორის“ მესამე სეზონის ყველაზე პატარა მონაწილე, 12 წლის დათუნა ლაზარიშვილი პროექტიდან გავარდა, ამერიკაში მოღვაწე ქართველმა მუსიკოსმა, ჯაზშემსრულებელმა ბექა გოჩიაშვილმა მასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

დათუნა სამჯერ ზედიზედ გახდა აუთსაიდერი, მაგრამ მის პროექტში ყოფნას ქართული საზოგადოება ცნობილი მშობლების, მომღერალ ლევან ლაზარიშვილისა და კომპოზიტორ მაიკო კაჭკაჭიშვილის პოპულარობას და „საქმის ჩაწყობას“ მიაწერდა. ნახევარფინალში დათუნა „დრიმ გიორლსთან“ დამარცხდა და შოუს გამოეთიშა,

– მაგრად ჩავაწყვე! – ასეთი მოკლე კომენტარით გამოეხმაურა შვილის გავარდნას კომპოზიტორი მაიკო კაჭკაჭიშვილი.

მან გამოაქვეყნა წერილი, რომელიც ბექა გოჩიაშვილისგან მიიღო:

– მაიკო, გამარჯობა, პირადად მე შემეხო დათუნას პროექტის დატოვება. მინდა ვითანამშრომლო ამ გენიოს კაცთან ჩემი ამერიკელი მეგობარი მუსიკოსების თანხლებით. რა თქმა უნდა, დათუნას თუ სურვილი ექნება.

## სპორტი

# ნოლიტო მანჩესტერ სიტის ფეხბურთელია



ინგლისურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სელტას ფორვარდი ნოლიტო მომავალ წელს მანჩესტერ სიტის ღირსებას დაიცავს.

ესპანელი ფორვარდი კონტრაქტს მალე მოაწერს ხელს და ოფიციალურად მანჩესტერ სიტის ფეხბურთელი გახდება.

სატრანსფერო თანხა დაახლოებით 18 მილიონი ევროა, თუმცა სელტა უფრო მეტს ითხოვდა.

ნოლიტომ შარშან ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და თავისი თამაშით ესპანეთის ნაკრებში გამოძახებაც დაიმსახურა. ნოლიტო თავისი კარიერის ერთ-ერთ ეტაპზე ბარსელონაშიც ირიცხებოდა, თუმცა კატალონიურ გუნდში დამკვიდრება ვერ შეძლო.

# რეალი კანტეს ყიდვას აპირებს



მადრიდის რეალი სერიოზულად არის დაინტერესებული ლესტერის ფრანგი ნახევარმცველის, ნგოლო კანტეს, შეძენით.

უახლოეს დღეებში კანტეს აგენტი მადრიდში ჩავა და რეალის წარმომადგენლებს შეხვდება. მისი სატრანსფერო ფასი დაახლოებით 30 მილიონ ევროს აღწევს და რეალისთვის ამ თანხის გადახდა რთული არ არის.

თვითონ კანტემ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ ზიდანთან ერთად მუშაობაზე ოცნებობს, ამიტომ რეალში გადასვლაზე უარს არ იტყვის.

ნგოლო კანტე, გასული სეზონის მიხედვით, ინგლისში საუკეთესო ნახევარმცველად დაასახელეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 30 ივნისი**

07.30 დ/ფ "ფოტო" 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.15 "მოამბე" 08.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" 12.30 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "ხანმოკლე XX საუკუნე" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 "ევრო – 2016" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "კომუნიკატორი" 20.50 "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად 21.30 დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" 22.00 ევრო-2016. 22.50 **ფეხბურთი** ევრო 2016. 1/4 ფინალი. 01.00 ევრო-2016. 01.25 მხ/ფ "**ჰალკი**" (ე. ბრანა) 03.40 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 04.10 "ხანმოკლეXX საუკუნე" 04.40 "პირადი ექიმი"

08.00, 10.10, 12.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დ/ფ "ბერები ლაბორატორიაში" 13.00 დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" 14.00 დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული სამყარო" 15.00 "ბრიფინგის დრო" (მიმდინარე დღის) 16.00 დ/ფ "ფუტკრების გაუჩინარების საიდუმლო" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ "**წითელი ნათება**" 02.25 მხ/ფ "**ჩინური კვარტალი**" 04.30 მხ/ფ "**ბორტზე ბავშვია**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**ცხოვრების გზები**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 22.00 სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 23.00 პროფილი 00.00 P.S.01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 3.10 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 გალფის გათამაშება 22.45 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 0.15 სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" 1.15 მხ/ფ

06.15 სჯანი 06.40 პატერიკი 06.50 დეკორატიული ფლორა 07.05 ქართული ალბომი 07.50 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" II სერ. 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართული ან/ფ 16.50 დ/ფ "ღირსი ასურელი მამა ისიდორე სამთავნელი" 17.35 ჩვენი ფონდი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.30 ამბიონი 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ლექციები მეფუტკრეობაზე 22.20 ჩვენი საგანძური 22.40 დ/ფ "ღირსი ასურელი მამა პიროს ბრეთელი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დიდ ხარ შენ უფალო... 00.25 ისტორიის დღიური 01.25 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ბერძენი ქალი**" 9.25 ევროპის ჩემპიონატის დღიურები 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 13.00, 14.05, 1.00 სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 19.05 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ქალბატონი**" 21.40 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.35 სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" 23.30 სერ. "**ჯუნა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**30 ივნისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3436 |
| ევრო | 2.585 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1046 |
| 100 რუსული რუბლი | 3.6087 |

## ამინდის პროგნოზი 30 ივნისისთვის





## 28 ივნისიდან

თედორე დოსტოევსკი

### დანაშაული და სასჯელი




ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


## იუმორი



ქალი ქუჩაში კატას ასეირნებს. კაცი ეკითხება:

– შეიძლება, თქვენს კატას მოვეფერო?

– როგორ არა, მხოლოდ ჯერ ბინტი და იოდი იყიდეთ აფთიაქში.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, ზოოპარკი ერთი კვირით დაკეტეს.

– რატომ?

– სპილო მოუკვდათ.

– გლოვობენ?

– არა, ჭამენ.

●●●

კუს თავზე კრაზანამ უკბინა და ჩაილაპარაკა:

– ეეჰ, დღეს გარეთ მომიწევს ღამის გათევა.

●●●

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი მევიდა?

– არა, მაი ვნახე მიწაში. შენი?

– მევიდა, მარა იმფერი სანახავია, მიუწვევს შენსას გვერდში!

●●●

ოსს ტელეფონზე ურეკავენ და ცოტა ხანში თავზე ხელს შემოირტყამს.

– რა მოხდა? – ეკითხებიან თანამშრომლები.

– დედა მომიკვდა.

ცოტა ხანში ისევ დაურეკავენ და ის ისევ თავში შემოირტყამს ხელს. თანამშრომლები ეკითხებიან:

– ახლა რაღა მოხდა?

– ცემ ძმასაც მოკვდომია დედა.

●●●

ქალი ტელევიზორს უყურებს და ქოთქოთებს:

– ვაი დედა... ვაი დედა... რა მთავრობა მევიდაა... სულ გაგვიყიდენ ყოლიფერიიი...

– რავა, ჩვენი იყო, თუ?.. – ჩაეძია ქმარი.

●●●

ქალები ქუჩაში სხედან და ახალ ამბებზე მსჯელობენ. მათ შორის ერთ-ერთ მაღალჩინოსანზე, აიღო თუ არა ქრთამი. ერთი ამტკიცებს, რომ აიღო, მეორე კი ამბობს, რომ მოუგონეს. ამ დროს თანასოფლელმა სასჯელმოხდილმა მამაკაცმა ჩამოიარა და ეუბნება:

– ცოტა მოითმინეთ და მალე გაირკვევა ყველაფერი, თუ „გაუჩალიჩეს“, ჩასვამენ და თუ მართლა აიღო – გამოუშვებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 29 ივნისიდან

### მსოფლიო ისტორიის ატლასი




ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

## 30 ივნისიდან

### კაცი, რომელიც იცინის

ვიქტორ ჰიუგო

მეორე ნაწილი




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## სტოიჩკოვი მესის ნაკრებში დაბრუნებისკენ მოუწოდებს



კოპა ამერიკის ფინალის წაგების შემდეგ 5 გზის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა ლიონელ მესიმ განაცხადა, რომ ის არგენტინის ნაკრებში აღარ ითამაშებს.

ამ განცხადებას მთელ საფეხბურთო სამყაროში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა და ბევრმა ცნობილმა ფეხბურთელმა გამოთქვა თავისი აზრი ამის შესახებ.

ერთ-ერთი მათგანი ბარსელონას ლეგენდა ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვია, რომელმაც მესის ნაკრებში დაბრუნება ურჩია.

სტოიჩკოვის თქმით, ლეომ ეს რთული პერიოდი უნდა დაძლიოს და ნაკრებთან ერთად გამარჯვებისთვის იბრძოლოს.

მიუხედავად ამისა, სანდო წყაროს ინფორმაციით, მესი გადაწყვეტილების შეცვლას და ნაკრებში დაბრუნებას არ აპირებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ივანკა ტრამპს პლაგიატში ადანაშაულებენ



ფეხსაცმლის იტალიელმა მწარმოებელმა ნიუ-იორკის სასამართლოს სარჩელით მიმართა, რომელშიც აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის ქალიშვილ ივანკას პლაგიატობაში სდებს ბრალს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბრალდება ეხება 10 სანტიმეტრის სიმაღლის ქუსლის მქონე ფეხსაცმლის დიზაინს, რომლის ფასი 780 დოლარს აღემატება. იტალიური კომპანიის წარმომადგენელთა აზრით, ტრამპმა პრაქტიკულად იდენტური მოდელი ჰეტიეს მარკით 145 დოლარად გამოუშვა.

ამერიკელი მილიარდერის ქალიშვილმა აღნიშნულ ბრალდებას სრულიად „უსაფუძვლო“ უწოდა და განაცხადა, რომ მისი აზრით, უბრალოდ კომპანიას ასეთი გზით სურს საკუთარი პოპულარობის გაზრდა.

სხვათა შორის, ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2016 წლის აპრილში აშშ-ს ხელისუფლებამ გაყიდვიდან ამოიღო ყელსახვევების პარტია, რომელიც ივანკა ტრამპის კოლექციიდან იყო.

## ინგლისის ნაკრებს სათავეში შესაძლოა საუთგეიტი ჩაუდგეს



ინგლისში ნაკრების გარშემო დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. როგორც იცით, ინგლისელები ევროპის ჩემპიონატს მერვედფინალში დაემშვიდობნენ, რასაც როი ჰოჯსონის წასვლა მოჰყვა და ამჟამად ინგლისის ნაკრებს მწვრთნელი არ ჰყავს.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიკავებს ამ თანამდებობას და ინგლისელები რამდენიმე კანდიდატურას განიხილავენ.

ერთ-ერთი მათგანი გარეტ საუთგეიტია, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, რომელიც ამჟამად ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებს უდგას სათავეში.

საუთგეიტი ადრე მიდლსბროს თავკაცი იყო, თუმცა დიდი წარმატებისთვის იქ მას არ მიუღწევია. საუთგეიტის გარდა, ინგლისის ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატურად კრისტალ პალასის დამრიგებელი ალან პარდიუც განიხილება.

## მონტელა მილანის მწვრთნელი გახდა



მილანს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს ვინჩენცო მონტელას სახით, რომელმაც გუნდთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ეს ინფორმაცია მილანმა ოფიციალურად დაადასტურა.

მონტელას ძალიან რთული დავალება აქვს შესასრულებელი, რადგან ბოლო წლებში მილანი აშკარა კრიზისში იმყოფება, რის გამოც კლუბმა რამდენიმე მწვრთნელი გამოიცვალა, მაგრამ ვითარება ამით არ გამოსწორებულა.

მონტელა რამდენიმე იტალიურ გუნდს ედგა სათავეში, ბოლოს კი სამპდორიაში მოღვაწეობდა.

როგორც ფეხბურთელმა, მონტელამ კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი რომაში გაატარა, სადაც ის ფრანჩესკო ტოტის გვერდით თამაშობდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## დიორის კრეატიული დირექტორი ქალი გახდება



მოდის სახლის კრისტიან დიორის კრეატიული დირექტორი პირველად გახდება ქალი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ თანამდებობას მარია გრაცია კიური დაიკავებს და ეს მისი არსებობის 70 წლიან ისტორიაში პირველად მოხდება.

სავარაუდოდ ამ თანამდებობაზე კიურის დანიშვნის თაობაზე განცხადება ივლისში გაკეთდება. დიორმა და ვალენტინომ ამ ინფორმაციის კომენტარზე უარი განაცხადეს, მაგრამ მიმდინარე მოლაპარაკებებში ჩახედულმა ინფორმაციის წყარომ დაადასტურა კიურის ახალ სამუშაოზე გადასვლა.

ამჟამად კიური ვალენტინოს ერთ-ერთ კრეატიულ დირექტორად მუშაობს თავის დიდი ხნის თანამოაზრე პიერპაოლო პიჩოლისთან ერთად. ამ თანამდებობაზე ისინი 2008 წელს დაინიშნენ.

კრისტიან დიორის კრეატიული დირექტორის თანამდებობა ბელგიელმა დიზაინერმა რაფ სიმონსმა 2015 წლის ოქტომბერში დატოვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ძველებური სასადილო, სავაჭრო; 2. პარლამენტში ხმის მიცემით მიღებული გადაწყვეტილება; 3. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს ბრძმედში, დნობის დასაჩქარებლად; 5. შოტლანდიური ნაგაზი; 6. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ოსური ხაჭაპური; 13. ქარბორბალას სახელწოდება აშშ-ში; 14. დედამიწის ატმოსფეროში სწრაფად მოძრავი, გავარვარებული კოსმოსური სხეული; 15. ყვავილების კონა; 19. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 4. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 7. შაქრის შემცველელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 9. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 10. სოხუმის ძველი სახელწოდება; 12. სხეულის მოხდენილი, რიტმული მოძრაობის ხელოვნება; 16. ფქვილით, ხახვით, ძმრით და კვერცხით შეზავებული ქათმის წვნიანი კერძი; 17. ხურდა ფული ბრაზილიაში; 18. კუთხე საქართველოში; 21. ძველი ქართული დამწერლობა; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. საბილიარდოს მოსამსახურე პირი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი